# საერთო გაზეთი

№3 (684)
ოთხშაბათი
1 თებერვალი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.



## ელიშერ გვენეტაძე: ბიძინა ივანიშვილი ქართული სახელმწიფოს – მამულის, ენისა და სარწმუნოების თავდადებული გუშაგია

## CREDIT SUISSE-მა იცის რეზოლუცისს რეალური „ფასი“

CS Victims Credit Suisse გარკვეული კლიენტების წარმომადგენლების მიერ შეიქმნა. ისინი 7 წლის განმავლობაში ბანკის პერსონალის მიერ ჩადენილი დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ღირებულების თაღლითობის მსხვერპლნი არიან

## დამწიფებამდე დამპალი ხილი ვერასდროს დამწიფდება!

ნატო-რუსეთის ომი ჯგუფურ სადომაზოხის-ტურ სექსუალურ თამაშს ჰგავს, როცა პატარა „პრასტიტუტკას“ დიდი ბიჭები მოსწონს და ნებით ერთვება ომის „სიამტკბილობაში“...







## ლადო ბოქაძე: „ნაცმოძრაობის“ დაშლა გარდაუვალია. ეს სხვა ოპოზიციურ ძალებს გააძლიერებს

## მიხეილ (მიშა) ჩამოტყუებული





## თორიას კასრი და „ნაციონალები“

ქალებმაც აიშვეს. ერთი ჩაითლიფინა რაღაც პირმორღვეულმა „არტილე-რიამ“ გადაცემაში „პოლიტ-ქილი-კში“ და ისე ეცა „ტაბულა ბიცოლა“, ბრდღვინი ადინა: კეზერაშვილს ურ-ჩევნია, ეს „კალოშისპირა ქაჯი“ დაა-დუმოს და აუხსნას, რომ პოლიტიკა-შიც ჩემი რეკომენდაციიით შემოეთრაო.

## რომელ ეროვნულ მოძრაობაზე საუბრობენ, როცა ლიაკას, გირჩისა და ჭიჭეს გენში ეროვნული კოდიც კი წაშლილია

## ნანული ქორქოლიანი: „...ჩემი გმირი გიწოდე...“

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# დამწიფებამდე დამპალი ხილი ვერასდროს დამწიფდება!

## ნატო-რუსეთის ომი ჯგუფურ სადომაზოხისტურ სექსუალურ თამაშს მაგონებს, როცა პატარა „პრასტიტუტკას“ დიდი ბიჭები მოსწონს და ნებით ერთვება ომის „სიამტკბილობაში“...

ყველა ხელისუფლება საკუთარი ხალხის წინაშე დებს რაღაც პირობას (ან პირობებს), იტვირთება ვალდებულებით (ან ვალდებულებებით) და იღებს პასუხისმგებლობას, ყველაფერი დანარჩენი ამ სამი კომპონენტიდან გამომდინარეობს.

სხვაგან რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ საქართველოში გასაოცრად არის არეული ჩვენი მოქალაქეების შემეცნებაში ეს მარტივი მოცემულობები, თუ ადამიანთა ჯგუფი (ან ცალკეულად) მიზეზთა გამო (ან მითითებით) მიზანმიმართულად იშტერებს თავს, ვერ გამიგია. თუმცა არც ამისი კვლევა მაქვს მიზნად. მხოლოდ ის ვიცი, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას აღებული აქვს პასუხისმგებლობა, რომ საქართველოში იქნება მშვიდობა და სტაბილურობა.

მძიმე დრო უდგას საქართველოს ხელისუფლებას!

ყოველი მხრიდან ასეთი და ამდენი ღია ზეწოლის ქვეშ სამართებლის პირზე გადის, არავის აძლევს საშუალებას, რომ მის მიერ დასახული უმთავრესი მიზანი — ქვეყნის აღმშენებლობისკენ სვლა, არაფერმა შეაფერხოს.

როგორ გგონიათ, ცალკეული აწკავწკავებული პერსონები, შინ თუ გარეთ, საკუთარი ინიციატივით ებრძვიან საქართველოს მშვიდობასა და კეთილდღეობას?

რა ამბავი დაიმართეს, რას ჰქვია „თბილისი — მშვიდობის ქალაქიო“ და, მით უმეტეს, როგორი ასატანია „საქართველო — მშვიდობის ქვეყანა“. ზოგადად კი, რა ხდება ჩვენს თავს?

პლანეტა დედამიწაზე იყო ბოროტების ორი იმპერია: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) და ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ). რაიმე ძირეულ განსხვავებას თუ ხედავთ გარდა სიტყვებისა — ერთგან რესპუბლიკებია, მეორეგან შტატები და მათი ერთობით შეიქმნა ორივე ბოროტების იმპერია.

(სერიოზულად მაინტერესებს, აშშ-ის ცალკეულმა შტატებმა რომ დამოუკიდებლობა გადაწყვიტონ, კონკრეტულად, სამხრეთისა და ჩრდილოეთის საზღვრებთან მდებარეებმა, კონკრეტული მიზნით, ფიქტიურად დამოუკიდებლებლები გახდნენ, ფაქტობრივად კი, კანადას, მექსიკას თუ კუბას შეუერთდნენ, სადაც დიდი რუსული გავლენების სფერო იქნებოდა, რას მოიმოქმედებსდა აშშ?).

ეს ორი იმპერია აწონასწორებდა ერთმანეთს, „ცივი ომი“ ერქვა მათ ურთიერთობას, მაგრამ დაინგრა (დაანგრიეს) სსრკ და ასპერეზი ბოროტების ერთ იმპერიას დარჩა. დაბეჩავდა სსრკ და დაიშალა კიდეც. კომუნიზმის სახელით აღარაფერი ხდებოდა, მაშ, ვინღა ღვრიდა სისხლს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დემოკრატიის სახელით?

აშშ ამერიკის კონტინენტის აბორიგენი მოსახლეობის სისხლზე რომ არის აღმოცენებული, ეს იქით იყოს, მაგრამ საკუთარ კონტინენტს რომ გასცდა და, სადაც თვალი დაადგა, უსისხლოდ ვერ იკიდებს ფეხს, ეს ხომ ფაქტად დევს. საფოსტო მარკად მისაწეპებელი სიტყვებია აშშ-ის ყველა მომდევნო პრეზიდენტისთვის: „მართალია, ქლინთონმა მოუტანა აშშ-ს მილიარდობით ნაძარცვი სიმდიდრე, მაგრამ მოუტანა ის საშინელი სიძულვილიც, რომელიც აშშ-ს ტრილიონები დაუჯდება.“

აშშ-ის რამდენ პრეზიდენტსაც მოვესწარი, დონალდ ტრამპის გარდა, ყველა ისე იყო სისხლისღვრაზე გამეცადინებული, იოტისოდენა სინანული არ გამოუხატავთ მათ მიერ დაღვრილი სისხლის გამო.

ტელეკომპანია NBS-ისთან ინტერვიუში რესპუბლიკელმა მილიარდერმა, იმ დროისთვის აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, დონალდ ტრამპმა პირდაპირ განაცხადა: „მომწონს, რომ რუსეთი მიწასთან ასწორებს „ისლამურ სახელმწიფოს“ სირიაში, რადგან მან კარგად უწყის, რომ ეს საფრთხე ერთ დროს მის ქვეყანამდეც მივიდოდა. ნახეთ, რა ხდება ახლო აღმოსავლეთში — ლიბიაში, ერაყში — ყველგან ქაოსია. უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, სადამ ჰუსეინი და კადაფი რომ არ დაემხოთ. სწორედ ერაყის კატასტროფამ შვა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“...

იმ დროს, გამოცემა „ალ-ახბარის“ ცნობით, რუსეთის ავიაციამ სამი დღის განმავლობაში 60 საავიაციო გაფრენა განახორციელა და „ისლამური სახელმწიფოს“ 50-მდე ბაზა გაანადგურა, რის შემდეგაც პანიკა შეიქნა და ტერორისტები სირიიდან ერაყის ქალაქ მოსულში გადავიდნენ.

მაშინვე ვიკითხეთ, მაგრამ რა... რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ იგივე მიზნით ე.წ. „ცივილიზებული დასავლეთის“ 7000 საბრძოლო გაფრენიდან, საშუალოდ 0,4 ბოევიკი იყო განადგურებული თითოეულ გაფრენაზე, ხოლო წელიწადში მხოლოდ 15 კმ ტერიტორიაა „გამოტაცებული“? და კიდევ, რატომ ატყდა გარკვეულ წრეებში ცრუ განგაში, არიქა, რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობასაც ბომბავსო? (თითქოს, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები მარსიანელებს ხოცავდნენ, ან თვითონ „ცივილიზებულებს“ არ დაუბომბავთ განურჩევლად მოსახლეობა, ქორწილები, უწყინარი სოფლები, საავადმყოფოები და ბომბავდნენ აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს).

იმდროინდელ სოციალურ ქსელებში ერთნი ნიშნისმოგებით ამბობენ, აშშ-მა რუსეთი კიდევ ერთ ომში ჩაითრიაო. თუმცა იქვე ფიქსირდება პასუხიც, ჰო, თავის დროზე საქართველოსთან ომშიც ჩაითრიეს რუსეთი, მერე უკრაინასთან ომშიც, ჰოდა დარჩა რუსეთს სოხუმი და ცხინვალი, ყირიმი და დონბასიო... მართლაც, რა უცნაურ ომებში „ითრევენ“ ხოლმე რუსეთს, ისეთში, ახალ-ახალი ტერიტორიები რომ „მიითრიოს“...



ნატო-რუსეთის ომი ჯგუფურ სადომაზოხისტურ სექსუალურ თამაშს მაგონებს, როცა პატარა „პრასტიტუტკას“ დიდი ბიჭები მოსწონს და ნებით ერთვება ომის „სიამტკბილობაში“...

ახლა უკრაინა მეორე წრეზე მიჰყავთ, პირველ ცდაზე არ დადგა სასურველი შედეგი, არ განვითარდა მოვლენები ისე, როგორც ჩაფიქრებული იყო, რუსეთი კი ისევ „ჩათრეულია“ ომში, მაგრამ ჩვენ რას გვემართლებიან?

ხილი, რომელიც დამწიფებამდე დამპალია, ვერასდროს დამწიფდება და სიახლოვეს მყოფსაც დაალპობს, ამიტომ ის ხიდან (კალათიდან) უნდა მოიკვეთოს. ამ დამპალ ხილსაც მაგონებს დღეს უკრაინა. როგორი გამეცადინებულია, რამენაირად მოედოს საქართველოს, დააზიანოს, საკუთარი დამპალი გვერდი გაუხახუნოს, რომ ლპობა გადასდოს...

ისე იქცევიან, თითქოს ჩვენ შევუსიეთ რუსეთის არმია უკრაინას და ვხარობთ უკრაინის დაქცევით. სათვალავი ამერია, იმდენ რეზოლუციას დაუჭირა მხარი საქართველომ უკრაინის სასარგებლოდ, რაც ბევრ სხვას არ გაუკეთებია და მაინც გამომდგარან და საქართველოს დისკრედიტაციას ეწევიან საერთაშორისო არენაზე.

საქართველოსოდენა ჰუმანიტარული დახმარება ვინ გაუწია, ნეტავ, უკრაინას? ერთი მოცუცქნული ქვეყანა ვართ, ჩვენი გაგვჭირვებია და იქით ვეფოფინებით ჩვენთან თავშეფარებულ უკრაინელებს, არ ვარჩევთ, „დეზერტირია“, ქალია თუ კაცია, ორფეხაა თუ ოთხფეხია. ჩვენს დევნილებს, აზრობრივი დატვირთვის შესამსუბუქებლად იძულებით გადაადგილებულებს რომ უწოდებენ, 45 ლარი ეძლევათ შემწეობის სახით, უკრაინელებს კი — 456 ლარი;

უკრაინას შეწირული ჩვენი ბიჭების ცხედრები საქართველოში ჩამოაქვთ, უკრაინელი ტალიკტალიკა ბიჭები კი საქართველოში საკუთარი ფეხით ჩამოვიდნენ და უზრუნველად არიან. მათი დიდი ნაწილი მხოლოდ ერთობა და მცირე ხანში აღარც ემახსოვრებათ, რომელ მხარეს არის უკრაინა...

„უკრაინის რადას გადაწყვეტილება 2008 წლის 2 სექტემბერს, როდესაც ჩააგდეს ანტირუსული რეზოლუცია: სახელობითი კენჭისყრა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერვენციის დაგმობის შესახებ (Nº3053) — საფუძვლიანად და მთლიანად. 09. 02. 2008 17:47

სულ 444; ხმა არ მისცა 347; თავი შეიკავა 4; წინააღმდეგ 28; მომხრე 65.

გადაწყვეტილება არ არის მიღებული!“

საშინელი თვისებაა უმადურობა... ალბათ, თვისებაც კი არ არის, ბუნებაა ადამიანის, მაგრამ სრულიად ერის?

არავინ მითხრას, მრავლად არიან საქართველოს მადლიერი უკრაინელებიცო — სად არიან, მათ რატომ ვერ ვხედავთ?

უკრაინელი „დეზერტირები“ საქართველოს დედაქალაქში რომ რაღაც საპროტესტო აქციებს გვიმართავენ ქართველებს, სად არიან ის „მადლიერი უკრაინელები“, რატომ არ დაქაჩავენ შარვლის ტოტზე თუ კაბის კალთაზე თვისტომელებს, კოჭებზე რატომ არ შემოსცხებენ, ვის ემართლებით, ვინც დაგვაპურა, გაგვათბო და შეგვიფარაო?!

გააგდეთ კინწისკვრით კასიანოვი, გამოაცხადეთ პერსონა ნონ-გრატად! — ასეთია ხალხის მოთხოვნა, მაგრამ ხელისუფლება დუმს.

საინტერესოა, სხვა ტაქტიკა აქვს არჩეული თუ ხალხივით კარგად იცის, ვინ დგას კასიანოვისა და, ზოგადად, უკრაინის ზურგსუკან, ვინ მართავს მას?

ვახო ხუზმიაშვილის გადაცემიდან გავიგეთ, რომ მის სტუმარს, კელი დეგნანს, მისივე პრეზიდენტის მსგავსად, მეხსიერების პრობლემები ჰქონია: არ ახსოვს არაფერი, არ იცის არაფერი, ან ვერაფერს იტყვის რომელიმე კონკრეტულ საკითხზე. მაგრამ ის ხომ აშშ-ს წარმოადგენს საქართველოში და სწორედაც რომ ყველაფერი ახსოვს, იცის და იმდენად მავნებლური განზრახვა აქვს, ხმამაღლა ვერაფერს ამბობს, დუმილს და მიდებ-მოდებას ამჯობინებს.



არ ვცდები, სწორედ კასიანოვი მოგვიწოდებდა „მეორე ფრონტის“ გახსნისკენ, ის კასიანოვი, ახლა რომ „ჟრიამულობს“, თუ რუსეთთან ფრენებს აღადგენს საქართველო, ახლა საქართველოდან მოგვიწევს უკრაინელების ევაკუაციაო — ვითომ, უკრაინის მოქალაქეებს საფრთხე დაემუქრებათ რუსეთის მოქალაქეებისგანო — როგორი შუბლისძარღვგაწყვეტილი ყოფილა!

ამ არასაპატივცემულოს ვინმემ ჰკითხოს სამი რამ: დღევანდელ მოცემულობაში, როდესაც მასპინძლები ვერ ვარჩევთ ჩვენს წინაშე მდგარი ორი (ან მეტი) სლავი ეროვნების ადამიანიდან რომელია რუსი და რომელი — უკრაინელი, მხოლოდ თვითონ ცნობენ ერთმანეთს, ერთმანეთის დახოცვის ნაცვლად, ერთად რატომ და როგორ თანაცხოვრობენ აბსოლუტურად შეხმატკბილებულად? ან როგორ ტაშფანდურობენ ღამის (დღის) თბილისის გასართობ ადგილებში ისე, რომ არაფხიზელ მდგომარეობაშიც კი ერთმანეთს ეხვევიან სიყვარულით? როგორ არის ეს საკითხი, მხოლოდ „დეზერტირ“ უკრაინელ მამაკაცებს აქვთ უკიდეგანო სიყვარული რუსი ერის მიმართ და ამიტომ სუფევს მათში ურთიერთგაგება?

მეორე — თუ საქართველო უკრაინას გაუგზავნის „ბუკებს“, „დიდგორს“ და ა.შ. სამხედრო შეიარაღებას, ან, კიდევ „უკეთესი“, რუსეთს გაუხსნის „მეორე ფრონტს“, მაშინ მშვიდად დაიძინებენ უკრაინელები საქართველოში და ქართველები უკრაინაში? იმ უკრაინელებთან ერთად საქართველოს არაბრძოლისუნარიანი უმწეო მოსახლეობა სადღა უნდა გავიხიზნოთ მათთან ერთად, მიუვალ მთებში? (მთებზე გამახსენდა, თუშეთის მაღლა მხოლოდ ცა არის. ე.წ. მშვიდობიანობის დროს ჩამოყარა თუშეთის მთებში რუსეთმა ლამაზ-ლამაზი „კასეტური ბომბები“. ზაფხული იყო, დამსვენებლები დაშავდნენ).

მესამე — წინა ხელისუფლებამ გაუხსნა ლარსის შემოსასვლელი რუსეთს ცალმხრივად, მიხეილ სააკაშვილი ყვავილებით პოზიორობდა, ისე ეგებებოდა პირველ შემომსვლელ რუსებს („ნაცებს“ ემახსოვრებათ, რომელი წელიც იყო!); ცალმხრივად არის შეწყვეტილი ფრენები რუსეთის მხრიდან — ეს მათ მიერ დაწესებული სანქციაა და თუ ეს სანქცია გაუქმდება რუსეთის ფედერაციის მიერ, ეს მათი გადაწყვეტილება იქნება და არაფერი ეკითხება საქართველოს სხვა ქვეყნის გადაწყვეტილებასთან. ზოგადად კი, მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება რუსეთში მყოფი მილიონამდე საქართველოს მოქალაქისთვის. რუსეთიდან მომავალი საქართველოს მოქალაქეები ერევნის გავლით სამშობლოში არაერთი მიზეზით გაწამებულები რომ ჩამოდიან, იმ სომხეთს რატომ არ ეტევება უკრაინა, დავიჯეროთ „მტრული ქვეყნების სიაში“ ჰყავს შეყვანილი? ...და არა მხოლოდ სომხეთი...

ამ „დაუძინებელ მეგობარზე“ მეორე „დაუძინებელი მეგობარი“ გამახსენდა. ადამ კინზინგერი: „საინტერესოა, ბოლოს როდის დაიბარა „ქართულმა ოცნებამ“ რუსეთის ელჩი?“ — ასე გამოეხმაურა ყოფილი ამერიკელი კონგრესმენი უკრაინის დროებითი რწმუნებულის, ანდრეი კასიანოვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბარების ფაქტს.

ეს გაჭირვებული! შვილო, მფრინავი ხარ — იფრინე, აგერ ერაყი და ავღანეთი, რა შენი საქმეა სხვისი საქმე?

უკრაინაში „ქართული ლეგიონით“ რომ ამაყობს თურმე, მამულაშვილისთვის მაინც ეთხოვა, შენს დას სთხოვე, „დამიგუგლოს“ ან “დამისერჩოს“ „რუსეთის საელჩო საქართველოშიო“ — 15 წელი მაინც იქნება, რაც რუსეთის ელჩი არ „მოგვეძევება“ და „ქართული ოცნების“ დამუნათებაში კი აიგდო საკუთარი თავი მასხრად — ამის დაწერილი შთამაგონებელი თუ დიდაქტიკური წერილები არ გაიშვას!

საქართველოს სამარცხვინო „მეგობრები“...

ისე კი, კელი დეგნანისა და ადამ კინზინგერის „უვიცობას“ თუ ერთმანეთს დროში დამთხვევის გამო შევაჯერებთ და ზედ „მძინარი ჯოს“ პრეზიდენტობას დავურთავთ, ფრიად უცნაურ მოცემულობას მივიღებთ ჰალუცინაციების თანხლებით. დიდი ფლიდები ან დიდი უმეცრები ყოფილან ეს არასაპატივცემულო ამერიკელები — არჩევანი მათზეა, ორი დასკვნიდან ერთი აირჩონ...

ელჩია — ტყემალზე ზის, კონგრესში საქართველოსთან პარტნიორობის ჯგუფის ხელმძღვანელი — ტყემალზე ზის!

ეს პატივცემული ადამი იყო, საქართველოს ხელისუფლებას რომ ურჩევდა რამდენიმე თვის წინათ, „რუსეთთან ფლირტი შეწყვიტეთო“ — თვითონ უკრაინის გაუპატიურების შეწყვიტას როდის მოისურვებენ?

ადამიანს თუ ელემენტარული აზროვნება შეუძლია, კარგად გასიგრძეგანებულიც უნდა ჰქონდეს ის რეალობა, რომელშიც იმყოფება. რაგინდ ვიძახოთ ყოვლად ულოგიკო ფრაზა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, ჩვენ მაინც კავკასიელებად, ქართველებად ვრჩებით — ქართველები ზმნის პირიანობას ვარკვევთ და ის ვეღარ გაგვირკვევია, ვინ რამდენპირიანია?

დღევანდელმა ხელისუფლებამ მოგვცა უპირობო პირობა, რომ მშვიდობის ხაზს დაიცავდა და ასრულებს კიდეც, ორპირა „დაუძინებელი მეგობრები“ კი მუდმივად იმის ცდაში არიან, რაიმე მავნებლური ან მაპროვოცირებელი გამოსტყორცნონ.

ახლა იმაზე გამოენთო „კოლექტიური ქართულ-უკრაინული „ნაცმოძრაობა“, რას ჰქვია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობაზე საქართველომ მხარი ტინი კოქსის კანდიდატურას დაუჭირა და არა ალტერნატიულ კანდიდატს, უკრაინელ მერეჟკოს, რომელიც საქართველოსთვის მიუღებელი ცვლილებების მიღებაში იყო ჩართული.

ე.წ. რადიკალური ოპოზიცია, რეალურად, „საქართველოს რადიკალური მავნებლები“ ხმაშეწყობილად, მყისიერად თავს დაესხნენ ევროპის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტსა და მის ყველა მხარდამჭერს. ტინი კოქსი 175-მა დეპუტატმა აირჩია, მეორე კანდიდატს, ალექსანდრ მერეჟკოს მხოლოდ 44-მა წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი. ტინი კოქსის 80%-იანი მხარდაჭერა სასწრაფოდ გამოაცხადეს კრემლის მხარდაჭერად, ხოლო კოქსის ყველა მხარდამჭერი — კრემლის გეგმების თანამზრახველად.

საქართველოს ხმა არაფერს წყვეტდა, მაგრამ მიზეზ-მიზეზ დოზე დაკლებულ მარილზე თუ არის საუბარი, მაინც უკრაინისთვის უნდა დაეჭირა მხარი საქართველოსო. კონტრშეკითხვაზე პასუხია საინტერესო: მაინც უკრაინისთვის ვითომ რატომ უნდა დაეჭირა მხარი?!

ისე მიაბეს უკრაინას საქართველო, თითქოსდა მსოფლიოს დასაბამიდან რამენაირი კუთხით ერთმანეთზე ვიყავით მიკრულ-დამოკიდებულები. გასულ საუკუნეში ხელოვნურად შექმნილი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სწორედ რომ მსოფლიო დასაბამიდან არსებული უძველესი კოლხების შთამომავლები, ჩვენი ტერიტორიებითურთ, რა კავშირში ვართ ერთმანეთთან...

დიდი პლატონობა და ჰომეროსობა არ სჭირდება უახლოესი ისტორიის გადახედვას!




შუა საუკუნეების თანამედროვე უკრაინის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთში მდებარეობდა კიევის რუსეთის ძლიერი სახელმწიფო, დანარჩენ ტერიტორიას კი არცთუ მეგობრულად იყოფდნენ მისი ის დღევანდელი „მეგობრები“, რომლებიც დიდი სიამოვნებით დაიბრუნებენ ხელსაყრელ მომენტში მათგან მიტაცებულ და უკრაინისთვის გადაცემულ ტერიტორიებს. (ორბანის კაშნე გაიხსენეთ, უნგრეთის დროშა რომ ჰქონდა დატანებული და უკრაინის ნაწილი უნგრეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული და მსვლელობა პოლონეთში, რომ ლვოვი პოლონეთია — საკმარისზე მეტია!) XVII-XVIII საუკუნეებში აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კაზაკთა რესპუბლიკა და მხოლოდ XX საუკუნეში გაჩნდა უკრაინა, ისიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც არავის შეუთრევია იძულებით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. უბრალოდ, საბჭოთა კავშირმა შვა იქ შემორჩენილი ყირიმელი თათრების, კაზაკებისა და იმ დროს იქ მცხოვრები სლავებისგან (არა მხოლოდ) ქვეყანა უკრაინა, რომელმაც 1991 წელს მოიპოვა საბჭოეთისგან, თავისი შემქმნელისგან თავისუფლება უკრაინის სახითა და სახელით.

ასე რომ, იქნებ, ვინმემ შეახსენოს საქართველოს მავნებელი საქართველოს მოქალაქეების უკრაინელ მეგობრებს, ასევე, საქართველოს უკრაინელ მავნებლებს, უკრაინის წარმოშობის ისტორია...

და კიდევ, საკუთარი თავების მასხრად აგდებას დაეხსნან და როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა: კროჭს მოუჭირონ!

იდეალური შეგონებაა: თუ ვინმე უსამართლოდ გლანძღავს, მიეცი ლანძღვის საფუძველი იმ არაკაცს!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე სტრასბურგში ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, მარია ბურიჩს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ დელეგაციის ხელმძღვანელი ირაკლი ჩიქოვანი და ევროპის საბჭოში საქართველოს ელჩი თამარ ტალიაშვილი. მარია ბურიჩმა ხაზი გაუსვა საქართველოს მნიშვნელოვან პროგრესს რეფორმების მიმართულებით და საქართველოს დელეგაციას აქტური მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

„ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიამ სტარტი აიღო. ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა პირისპირ შეხვედრა გამართა საქართველოს დელეგაციასთან. ასევე, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტიც პირისპირ შეხვდება საქართველოს დელეგაციას. ეს არის ხაზგასმა იმ ძალიან მნიშვნელოვანი ურყევი მხარდაჭერისა, რომელიც ევროსაბჭოს საქართველოსთან დაკავშირებით გააჩნია. მიმდინარე კვირაში გაიმართება არაერთი მნიშვნელოვანი სხდომა. საქართველოს დელეგაციის მხრიდან იქნება ხაზგასმა იმ საკითხებისა და იმ პრიორიტეტებისა, რომელიც საქართველოს დღის წესრიგში დგას“ — განაცხადა თამარ ტალიაშვილმა.

გაუგებარი არ არის, რა ბნედა სჭირთ — ჯერ ხომ იმაზე ირჯებოდნენ, როგორ შეეძულებინათ საქართველოს მოქალაქეებისთვის აშშ; შემდეგ ევროპა და ახლა ღიად აფიქსირებენ ზოგად ანტიდასავლურ და ანტიევროპულ განწყობებს. შავ დღეში არიან — ნამდვილად ძნელი იქნება ორი ბატონის მსახურება, მით უმეტეს, როცა ერთმა ბატონმა იცის, რომ მეორესაც ემსახურები და პირიქით... აერიათ თავ-გზა... არადა, რა ადვილია, მხოლოდ საკუთარ სამშობლოს ემსახურო...

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი, მიუხედავად არნახული ზეწოლისა ყველა მხრიდან, გარედან თუ „შინაური მავნებლებისგან“, იყო და არის არამხოლოდ სწორი, არამედ უალტერნატივოც და ამიტომაც ვართ იმედიანად, მშვიდად გვძინავს ღამით და მშვიდობიანი ცის ქვეშ ვიღვიძებთ დილით.

ასეა ეს!

სწორედ ამიტომ გაუჩნდათ ამოუხსნელ თავსატეხად კაცი, თვალსმოფარებული, მაგრამ სამშობლოს მოდარაჯედ „დაყუდებული“ ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ვერავინ და ვერაფერმა აიძულა, რომ გადაედგა თუნდაც ერთი ნაბიჯი საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ!

**ნინო დაუშვილი**



# თორიას კასრი და „ნაციონალები“



დიდი ამბავია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წიაღში. ერთ მხარეს საქართველოს ნახერხემლარი დგას კონტრაბანდისტ კაიფარიკ კეზერაშვილთან ერთად ვინმე „ხაბე გრუშას“ ზურგსუკან და მეორე მხარეს ახალაიები და მათი რაზმი დგას ნიკანორ მელიას ზურგსუკან. კიდევ იყვნენ „ენმ“-ის თავმჯდომარეობის მსურველები, მაგრამ იმათ ვინ აგდებდა რამედ, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ „ენმ“-ის ამომრჩეველი ქალების დიდი ნაწილი მუმლაძეს აძლევს ხმასო. ეგ ვინღაა?

კარგი, ვინც უნდა, ის იყოს „ენმ“-ის ყველა კანდიდატი, მაგრამ 49 000-ზე მეტი ამომრჩეველი დარეგისტრირდაო და პარტაქტივმა თუ ვერა (ორივე მხრიდან) ამდენი ათასიდან ერთმა მაინც ვერ შენიშნა, რანაირად ეწერა სიტყვა „ინფორმაცია“? თავისმართლება, რომ ტექნიკური შეცდომა იყო, ვერ გაამართლებს ამდენ თვალხილულ ადამიანს, უბრალოდ, ნათელია, რომ ამ სიტყვის სწორი ფორმა არ იციან, რადგან ასე წერია, „უფროსობამ“ უკეთ იცისო!..

როცა ქვეყნის არჩევნებში „ნაცებს“ მილიონზე მეტი ამომრჩეველი ჰყავთ, „ოცნება“ უყალბებს შედეგებს თურმე და ახლა, როცა პარტიული არჩევნები აქვთ და 50 000 „ნაციც “ კი არ რეგისტრირდება ხეირიანად (ორივე კანდიდატისა ერთად) ეს მარტივი არითმეტიკა როგორ გავიგოთ, რასთან გვაქვს საქმე ან მაშინ, ან ახლა?

სხვა საკითხია, აზრზე თუ არიან, რას ირჩევენ და თუ აზრზე არიან, რანაირად ირჩევენ?

პარტიის თავმჯდომარე ირჩევა პარტიის ყრილობაზე დელეგატების მიერ და არა ფეისბუქ-იუზერების მიერ. ასე რომ, ორშაბათს გამოცხადდა, ვინ გაიმარჯვა კულუარულ ჭიდილში და აი, ახლა არის საინტერესო, ვინ ვის სად მიუვარდება და თან უჩივლებს, გააყალბესო.

მე თუ მკითხავთ, ფარა-ფანატიკოსი ამომრჩევლის გარდა, ანუ თავკაცებმა, გადასარევად იცოდნენ, ვის გამოაცხადებდნენ პარტიის თავმჯდომარედ. ეს მასკარადი მხოლოდ კალკულაციისთვის იყო საჭირო, აბა, რამდენნი ვართ რეალურადო. თაკო ჩარკვიანი, ალბათ, ნერვიულადღა ეწევა სიგარეტს საკუთარი სახლის კორიდორში, აუუუუუ, რამდენი ვიყავით და როგორ დავცოტავებულვართო.

ვიღაცამ იხუმრა, „ოცნების“ კანდიდატი მოიგებსო — რა იცოდა ამის მთქმელმა, ენამ როგორ გაუსწრო.

სეირის საყურებლად შემართული ხალხი მოთმინებით გასცქეროდა „ენმ“-ის ცენტრალურ ოფისს, როდის ამოვიდოდა თეთრი ბოლი...

ვიღაცამ დაწერა ფბ-ზე: „კი, ამოვიდა ბოლი, მაგრამ არც თეთრია, არც შავი, ყავისფერია და ყარსო“.

აბა, დატრიალდა გონება „სოჩიკივით“!

ერთნი ამბობდნენ, მიშა „ვივამედშია“, თავის დაგორგოლავებულ ფეკალიებს ხომ არ გამოაგზავნიდა დიდი ყუთით გამოსახდელად, რა უნდა იყოს, ნეტავო? მეორენი დაბნეულები ამბობდნენ: თავდაუბანელი ირმა ნადირაშვილი არ დაგვილანდავს ახლო-მახლო, რომ რაიმე სიმყრალე დაესხას, რა ყარს, ნეტავო? მესამენი ვარაუდობდნენ: მამულაშვილი დაძველბიჭობდა და წითლიძეც ახლოში დავირუსობდა, ეგენი ესესხებოდნნენ ირმა ძუნძგლიანს იმ აყროლებულ სითხესო. ბოლოს შეჯერდნენ: მიშამ საკუთარი ფეკალიები რაგბის ბურთისოდენად დაგორგოლავებულები გამოაგზავნა, ალბათ, ზედ ირმას აყროლებული ხსნარი დაასხეს და ეგ სამსალა ამოუშვესო...

სანამ ნაც-ბოლი ამოვიდოდა, ნაც-განშტოებებმა ისე ათრიეს ერთმანეთი, ვისი ვიოლინო ვის როიალში იყო, ვერ გაიგებდი.

ქალებმაც აიშვეს. ერთი ჩაითლიფინა რაღაც პირმორღვეულმა „არტილერიამ“ გადაცემაში „პოლიტ-ქილიკში“ და ისე ეცა „ტაბულა ბიცოლა“, ბრდღვინი ადინა: კეზერაშვილს ურჩევნია, ეს „კალოშისპირა ქაჯი“ დაადუმოს და აუხსნას, რომ პოლიტიკაშიც ჩემი რეკომენდაციით შემოეთრა (სამწუხაროდ) და ქართულ ციხესაც ჩვენი დახმარებით არ ხეხავს (ორჯერ) და ჩვენი ვალიდან ვერ ამოვა მთელი ცხოვრება. ჩუმად ეგდონ — მათ ინტერესებშიაო.“ ... და დადუმდა „კალოშისპირა“ (ნანუკა ჟორჟოლიანი)...

აქეთ გუბაზ სანიკიძეს ეცა თამარ-ქალი: გუბაზი გულს გვფხანსო! ამიტომ დაატარებენ შილაფლავივით ოპოარხები და ფსევდომესიის „დაუფასებლობის“ გამო ალანძღინებენ ქართველ ხალხს ამ უზნეობის სიმბოლოს.

ფხანა ქეცმა იცის, თქვე ქეციანებო! ნუ იქეციანებთ თავებს და აღარც გუბაზის ფხანა დაგჭირდებათო.

ახლა გუბაზის ფანები ეცნენ თამარას: „მწარე წიწაკა რომ შილაზე ალაპარაკდება, სასაცილოაო“; „შენ გადამჟავებული ფხალი ხარო“; „ფხალი კი არა, უფრო აყროლებული გუდის ყველიაო“; „ეს ქალი მორალისგან არის დაცლილიო“; „წარმომიდგენია, როგორ ეშინია გიგას ამ ქალისო“; „თამარა ბიძინას და „ოცნებას“ ფხანს, რომ კიდევ იტივტივონ მან და მისმა ნაცყოფილმა ქმარმა. გილოცავთ, გიჟი თამარაც თქვენს მხარეზეა, ქოცებო. ატარეთ ახლა მჟავე კიტრივით აქეთ-იქით ტელევიზიებში და ალანძღინეთ ყველა არაქოციო“ და სხვა მრავალი.

აქეთ მაია ორჯონიკიძე ეცა ეკა ხერხეულიძეს: არ მიკვირს, მიშას ვარიანტში „უახლოესი თანამებრძოლი“ კაგებეს სტაჟიანი თანამებრძოლი რომ იყოსო... იქიდან ხერხეულიძე გამოენთო: მიწა უნდა უსკდებოდეს, სინდისის ნატამალი რომ ჰქონდესო... ბიჯო, ბიჯოოოოო, დაკბინეს და დატკვირეს ერთმანეთი.

„ნაცმოძრაობის“ გაყოფა უკვე გარდაუვალია. ჭუჭყიანი ნიაღვარია ირგვლივ და სუფთა ვერავინ დარჩებაო“, — ბეჭედი დაასვა სევდია უგრეხელიძემ — თითქოს აქამდე ქათქათებდნენ...

საწყალ ნიკანორ მელიას რაღაც ძვირფას მანქანას რომ აყვედრიდნენ, ის კიდევ იფიცებოდა, არა, ბატონო, მე არ ვსარგებლობ იმ მანქანითო, მაგას რა უჭირს, ახლა თუ „ხაბეს“ კბილები დააყვედრეს, ეგ იქნება სააშიკო ამბავი.

ვიღაცამ შეიცხადა, თურმე რაში ყოფილა საქმე, მეც არ მიკვირდა, რას კრიჭავს ამ კბილებს ყინულზე წაქცეული ვირივითო...

ვირი არ ვიცი, მაგრამ მტრისას, „ხაბეს“ რომ არ გაერტყა „ენმ“-ის თავმჯდომარეობა! კაპრემონტი ხომ ჩაუტარეს, იმ ახალ კბილებს დააძრობენ და ძველ კბილებსაც რომ მიაყოლებენ, იმეებს გადააყლაპებდნენ, ახალ პალტოს კი ზედ კინკრიხოზე დაახევდნენ.

ისე, ამ კრივის „გრუშა-კაცს“ საკუთარი თავყვანისმცემლებიც რომ ჰყოლია, ახლოდან მანახა, ნეტავ, რომელიმე, მაინტერესებს, რომელი პლანეტიდან ჩამოვარდნენ შუაგულ „ენმ“-ში: „მიშას გადარჩენა მხოლოდ ლევანს შეუძლია. წარმატებები ლევანსო“; „მელია თუ გაიმარჯვებს, ღრინჭოლა ჭამეთ მერე, ჰაერიც სანატრელი გექნებათო“. ვიფიქრე, ვნახავ, რა მცენარეა ღრინჭოლა, ვიცოდე მაინც-მეთქი და ჭყიმი ყოფილა — ერთი სახელით ხომ გავიცანი და მეორე უკეთესი ყოფილა, გავნათლდი...

„ხაბეს კამანდა“ წინსწრებით აზეიმდა, სქრინები დავთვალეთ და 21000 ხმა გვაქვს, მელიას გავალურჯებთო. ეს მელია რა ყურფიჩორა აღმოჩნდა, 2020 წლის არჩევნების წინ რომ გამოვიდა და ილმუვლა, ვინც ლგბტ თემს პატივს არ სცემს, მისი საარჩევნო ხმა არ მინდაო, რითიც, ფაქტობრივად, შეურაცხყოფა მიაყენა საკუთარ ამომრჩეველს, ახლა ირბინოს მათთან ერთად ლგბტ-მელიად, „ხაბე“ კი მეორე წყება კბილებსაც ჩაისვამს ზვიგენივით...

ე, ბიჯო, ნიკანორა, თბილისის მერობაზე კალაძეს ერკინებოდი და საკუთარ პარტიაში წააგე და ვისთან, „ხაბესთან“?! — შეგირცხვა ნამუსი!

„ხაბე“ კბილპირმცინარი დააბიჯებდა: „არავითარი მეორე ტური არ იქნება. უპირობო გამარჯვებული ვიქნები და არც გვაქვს მეორე ტურების დრო, ქვეყნის ეკონომიკას და აღორძინებას უნდა მივხედოთო“. ეს ქინძისთავი, იქნებ, ვინმემ მადლი მოისხას და აუხსნას, რომ უშნოდ დავარდნილი პარტიის თავმჯდომარედ ირჩევენ და არა ქვეყნის მმართველად, ვინ ეკითხება ქვეყნის ა-ღორ-ძინებას და ა-ყვავ-ებას?! ეს გაჭირვებული როლში არ ჩარჩეს...

კი, ისეთი პირი უჩანს, ჩარჩება როლში — უეცრად განაცხადა: უნდა შევქმნათ ჯარი, რათა ფრონტის ხაზზე გავიდეთო. რა ჯარს ქმნის ეს ჩვენის შიშტიბუქა, „ნაცებისგან“ დაკომპლექტებულს და უკრაინაში მიდიან? იოცნებოს „ხაბემ“, ტვინი კი არ მოუჭერს თავის ქალაზე, ან პირიქით...

რა ქნას, ეპატრიოტება და ვერ ოკდება, განდიდების მანია უჭერს და ტყავში ველარ ეტევა: „ჩემი სხეული ეკუთვნის ჩემს სამშობლოს, სული — ღმერთს, ხოლო სისხლი — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასო“.

ამას რა უჭირს, თურმე, მისი დამარცხება პუტინის ოცნებაა და კრემლი ყველაფერს აკეთებს მის დასამარცხებლად, მაგრამ ამაოდ.

ახლა ეს რომ ექიმს გაასინჯო, დასკვნას დადებს, რომ ჯანმრთელი და სრულფასოვანია...

ამასობაში სკანდალი აგორდა, „ენმ“-ის არჩევნებზე „ოცნების“ დეპუტატები „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველთა სიაში დარეგისტრირდნენო. რა უჭირს მერე, ნახევარი „ოცნება“ მაინც „ნაცებიდან“ გადმოფრენილები არიან და...

ერვანდა ჩემი მეზობელი, ამასწინათ თავს დამესხა, ზურაჯან, „იხვის კლეტკა“ არ გაქვსო? იხვის ტოლმა გამიგია — არ მიჭამია, „იხვის კლეტკა“ რაღაა? — გავიფიქრე, მაგრამ ერვანდას ხომ არ გავენდობოდი უმეცრებაში, კაი ტიპი ვგონივარ, ისე მივუგდე, ყასიდად, არა-მეთქი, მქონდა და აშიკას მივეცი — ეძებოს აშიკა-მეთქი. დაურეკე! — მიბრძანა. მეთქი, ერვანდ, ხომ არ გაჟრიალებს? რა მაჟრიალებს, ვირთხებმა ტვინი წაიღეს, ტოოოოოოო! — იმხელა ხმაზე დამყვირა, კინაღამ ჩემი ნებით გადავხტი მე-9 სართულიდან.

ვირთხებს ვერ ვიტან!

ვირთხები არ მესიმპათიურებიან!

ახლობელი მყავს, არ არის გამორიცხული, თქვენც იცნობდეთ — ნარიმან იაშაღაშვილი, ვირთხა ჰყავდა მოშინაურებელი, „დრაბონა“ ერქვა, კაი ტიპივით გვესწრებოდა ხოლმე სუფრაზე;

უბანში, მოქანდაკე გვყავდა, კანდელაკი, ნუტრიები ჰყავდა. მაგარი ცოლი ჰყავდა და, ალბათ, იმის ქურქისთვის ატყავებსო, — ვერსია დადიოდა. ერთ დღეს მომაკვდავი ნუტრია გადამეყარა გზაზე და სახლში მივიყვანე, ვუწამლე, მეთქი, მეც გამოვაქანდაკებ რამეს — გავამრავლებ. რომ გამოჯანმრთელდა მაგრად ვთამაშობდით. ერთ დღესაც მივედი და სადაა ჩემი „ნუტი“, ბებიაჩემმა მითხრა, არსენამ მოკლაო. კინაღამ მე მოვკვდი, რა არსენა ოძელაშვილი, გამზრდელ ბებიას რა მწიფედ გაუფრენია-მეთქი, — სხვა რა უნდა მეფიქრა?. არა, კაცო, არსენა წიკლაურმაო. მდგმურად იყო ოჯახით — გავუვარდი არსენას, მეთქი, ბიჭო!.. ვირთხა რად გინდოდა...

ვირთხა ყოფილა, მე ნუტრია მეგონა — არადა, რა კარგად ვამხანაგობდით...

ვირთხები მაგარი „იმნაირები“ არიან.

სადღაც ამოვიკითხე, ინტელექტით ზოგჯერ ადამიანსაც კი უსწრებენო.

ჰო, რა ვიცი, ინტელექტუალი ვირთხები „ტვალეტში“ ლექსებსაც დაწერენ... რატომ, რა, ოპერაში არიებს არ მღერიან? („ფანტომი ოპერაში“)

ციმბირის ციკლონი მოიწევს ჩვენკენო, — მოულოდნელად გვამცნო ზაალ უდუმაშვილმა. პუტინ, შე ცუდო, შე არასწორო, შე ისეთო! „ციმბირის ციკლონიო“. ვეჟო, ამ მიხვ-მოხვეულებში ოსმალო ძლივს ეკვეხებოდა, რა ციმბირის ციკლონი?

ცოტა კი ჰგავს ერვანდა პირმწვეტა ვირთხას, მაგრამ მაინც ჩვენია, წაიქართველებს, ბებია გაგუა ჰყავდა... ჰოდა, წარმოშობით ბალღოჯიანელია ეს ერვანდა, ყვარლელი, იქვეა რუსეთ-საქართველოს საზღვარი და ისეთ უცნაურობებს იტყვის ხოლმე, ულვაშები ქვემოთ მეპრიხება.

ერვანდას ჰაბიტუსსა და „ვირთხის კლეტკაზე“ „ენმ“-ის თავმჯდომარის არჩევნები გამახსენდა და ქუჯი თორიაც ამომიტივტივდა, თაგვიჭამია და ვირთაგვაჭამია ვირთაგვები რომ გამოჰყავდა მის საგვარეულოს.

„მე და დათა თუთაშხია ცხოველებს დავყურებდით აივანზე. კასრში ორი ვირთაგვალა იჯდა და უკვე ცხადი იყო, მეხომალდეებში რომელიც გაიყიდებოდა...“ („დათა თუთაშხია“).

ასე დავყურებდი მეც ორ ვირთხას და ჩემთვისაც ცხადი იყო, ვინ გახდებოდა „ენმ“-ის თავმჯდომარე...

ჩვენ „ვივამედში“ გვყავს დიდი ვირთხა, ერთდროულად პუტინისა და აშშ-ის მოშინაურებეული „დიდი ფარაონი“...

ვირთხების ცვენაა!

ზოგჯერ ლამის შემეცოდოს კიდეც ჩვენი „ორმაგი ფარაონი“...

მის დანახვაზე მეფე ლირი მაგონდება ხოლმე, ლირი, ყველასგან მიტოვებული...

გიხაროდენ! დასრულდა „ენმ“-ის თავმჯდომარის არჩევნები.

გიხაროდენ! გაიმარჯვეს ნახერხემლარმა ვანომ და ოლიგარმა დავითმა.

ახლა მხოლოდ ერთი მისია აკრისია „ნაცმოძრაობის“ ამ ფრთას, „ხაბეს“ დამამშვიდებელი გაუკეთონ და სანამ არ გამოუბერტყავენ თავიდან კვალიფიციური ფსიქოლოგები, რომ დიდი იმპერატორი კი არა, ერთი ჩვეულებრივი ქლიავია, მანამდე უწამლონ.

**ზურაბ ოქმერელი**

# ბიძინა ივანიშვილი ქართული სახელმწიფოს – მამულის, ენისა და სარწმუნოების თავდადებული გუშაგია

## XXI საუკუნეში რუსეთისთვის 31 ტანკით ომის მოგება სიბრიყვეა!



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, ბაიდენმა განაცხადა: უკრაინას „აბრაამსის“ ტიპის 31 ტანკს გადავცემთ, რათა მან საკუთარი მიწის დასაბრუნებლად კონტრშეტევა განახორციელოსო. „ლეოპარდებით“ მოამარაგებს უკრაინას გერმანიაც...**

— ეს ორივე მხრიდან – რუსეთიდანაც და დასავლეთიდანაც წმინდა იმპერიალისტური ომია, რომლის მსხვერპლიც, სამწუხაროდ, უკრაინელი ხალხი აღმოჩნდა. იგი მისმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ გასწირა, რომლის სათავეში ზელენსკი დგას. რაც შეეხება ბაიდენის განცხადებას, წმინდა იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ-ტრიუკისტული ხასიათისაა. ამ ბატონებს, ვინც ომს აწარმოებს, ადამიანები ბნელ შუასაუკუნეებში ჩარჩენილნი ჰგონიათ, რა დროსაც განსხვავებული აზრის გამოხატვისთვის იგივე ევროპაში, ხალხს კოცონზე წვავდნენ. **სად გაგონილა, 21-ე საუკუნეში 31 ტანკით ვინმეს რუსეთისთვის ბრძოლა მოეგოს?! ვის აჯერებენ ამ სისულელეს?!** ეს ხომ ზღაპარი, აბსოლუტური სიგიჟეა. მართალი გითხრათ, მეშინია, დღევანდელი მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოს სათავეში ასეთი ბრიყვი რომ უდგას! **ვინმეს წარმოუდგენია, რომ 31, გინდაც 80, 100 ან 500 ტანკით რუსეთს ომს მოუგებს?! მაშინ, როდესაც 1943 წელს იმავე უკრაინაში, სოფელ პროხოროვკაში ერთ დღეში ბრძოლის ველზე გამოსული 1200 ტანკი განადგურდა. ეს ბრძოლა გერმანიის დამარცხებით დასრულდა.** 31 ტანკით ბრძოლის მოგება ხომ სიბრიყვეა და მეტი არაფერი! აქვე ერთ რამეზე მინდა ყურადღება გავამახვილო — ბაიდენმა განაცხადა: ტანკებს გადმოგცემთ, მაგრამ ისინი თქვენთან რამდენიმე თვის, ან სულაც ერთი წლის დაგვიანებით მოვაო. ბაიდენმა, რა თქმა უნდა, არ იცის ცნობილი ქართული ანდაზა: სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო. ფაქტობრივად, დასავლეთის შემყურე უკრაინელ ხალხს და სახელმწიფოს ტყავი გამძვრალი აქვთ. შევხედოთ, რა პროცესები მიდის ევროპაში. პოლიტიკით, ეკონომიკით ყველაზე მძლავრი, წამყვანი სახელმწიფო ევროპაში გერმანიაა. მას, სანამ შეეძლო, დასავლეთის გარკვეულ ძალებს, რომლებიც მის ომში ჩართვას მოითხოვდნენ, დიდ წინააღმდეგობას უწევდა. უკრაინისთვის „ლეოპარდების“ გაგზავნა ომში გერმანიის ჩაბმას ნიშნავს. ამ ქვეყნის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა ბაიდენისეული შედევრი შემოგვთავაზა: მართალია, უკრაინელებს ტანკებს ვუგზავნით, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს ნატოსთან რუსეთის დაპირისპირებას, ესკალაციას არ გამოიწვევსო. წარმოიდგინეთ, როგორი კატასტროფის წინაშეა მთელი მსოფლიო, რომლის სათავეში ასეთი ოდიოზური ფიგურები დგანან. როგორც იკვეთება, ისინი მარიონეტები არიან, რომლებსაც ძალიან ცნობილი სამხედრო-სამრეწველო-ფინანსური ოლიგარქია მართავს, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად კოლოსალურ მოგებას რომ იღებს. ვისაც კითხვა უყვარს, მოვუწოდებ: გადაიკითხონ მარქსი და ენგელსი. ადრე, სხვებივით, მეც მეცინებოდა მარქსის „კაპიტალზე“. თურმე, თავად ვყოფილვარ დასაცინი. ეს ადამიანები კაპიტალიზმის შეფასებაში ცამდე მართალნი ყოფილან. ბოლო 30 წელია, კაპიტალიზმის ნამდვილ სახეს ვხედავთ, რომელიც კოლოსალური მოგებისკენ მიისწრაფვის და არად დაგიდევთ ადამიანების სისხლს, ცრემლს, ქონებას და ა.შ. მათი მიზანი გასაღების ბაზრების ათვისება, ნედლეულის დაპატრონება და იაფი მუშახელია. დღეს ელექტრონულმა მედიამ ვითარება სრულიად შეცვალა — ადამიანებს წიგნის წაკითხვა ეზარებათ. ამან გამოიწვია ის, რომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი მედიასაშუალებები ჭკვიან ადამიანებს არ იკარებენ, ან ერთხელ გამოაჩენენ ეკრანზე და მერე „მგლის ბილეთს“ აძლევენ.

**— რუსეთი ფართომასშტაბიანი ომისთვის ემზადება. თუმცა ამბობენ, ომს უკრაინა იგებსო. როგორია რეალობა?**

— მარტივად ვიკითხავ: როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ლანჩხუთის „გურია“ მადრიდის „რეალს“ მოუგებს?! სამწუხაროდ, დასავლეთმა დღევანდელი რუსეთი ვერ შეაფასა. მას ეგონა, გორბაჩოვ-შევარდნაძის დროინდელი რუსეთი დახვდებოდა, რა დროსაც მათ ნათქვამს უსიტყვოდ ასრულებდნენ. დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება ისეთ ჩიხშია შესული, რომ უკან დასახევი გზა აღარ აქვს. წარმოიდგინეთ, პუტინმა უკან დაიხიოს და ბრძოლები რუსეთის საზღვრამდე მოვიდეს. ის გამარჯვების მისაღწევად ყველა დაშვებულ და დაუშვებელ მეთოდს გამოიყენებს. პუტინები, ოლიგარქია, ეს იგივეა, რაც მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები — დასაღუპად განწირულები ყველას რომ თან გაიყოლებენ. როგორ ფიქრობთ, ჰიტლერს ატომური ბომბი რომ ჰქონოდა, არ გამოიყენებდა?! პუტინი ანალოგიურ სიტუაციაში თუ მოხვდა, ბირთვულ იარაღს უეჭველად გამოიყენებს. დასავლეთმა სვლები კარგად ვერ გათვალა. მას ეგონა, რუსეთს შეიტყუებდა, მერე გამოფიტავდა და შედეგად გამანადგურებელ გამარჯვებას მოიპოვებდა. ომის შედეგი რა არის? ერთი წელი გადის და რუსეთს მანამდე ორი ოლქი თუ ჰქონდა დაპყრობილი, ახლა — ოთხი აქვს. ამას ემატება პუტინის მიმართ დასავლეთის შიშიც. რატომ აძლევენ უკრაინას 31 და არა 32 ტანკს?! ანდა, სად გაგონილა, რუსეთს ასე ღიად შეატყობინო: ამა და ამ დღეს შენს მოწინააღმდეგეს ტანკებს ვუგზავნიო?! რომელ ომში მომხდარა მსგავსი რამ?! კიდევ ერთ საინტერესო მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას: ერთი წელია, ომი მიმდინარეობს და, პარალელურად, რუსეთიდან დასავლეთისკენ გაზი მიედინება, ხოლო იქიდან — დოლარები მოდის. ასეთი რამ სად გაგონილა?! კიდევ ერთი: დაზიანდა ამიაკის მილი, რომელიც რუსეთიდან უკრაინაში მიდის. როცა მდიდარ ოლიგარქებს დასჭირდათ, მილი უმალ შეაკეთეს. განა, რა ისეთი ეშმაკები ასხედან ამ გაზისა და ამიაკის მილებს, რომელთაც ყუმბარა არ ხვდებათ?! რა ხდება?! ბრიყვიც მიხვდება, რა სიტუაციაა. ამ დროს საცოდავ საქართველოს აბრალებენ, რუსეთს იარაღს აწვდისო. ძალიან მაგრები ვყოფილვართ თურმე, რუსეთი ჩვენით სულდგმულობს, თორემ დაიღუპებოდა. ამ დროს, ირანული დრონები, რითაც უკრაინა იბომბება, უმეტესწილად გერმანული და ავსტრიული ტექნიკაა. ამ ყველაფრის ფონზე გაიძახიან: უკრაინა იმარჯვებსო. საზოგადოება ელექტრონულმა მედიამ იმდენად გამოაყეყეჩა, მას რომ უთხრან: საომარ ტერიტორიაზე ყუმბარებით დატვირთულ ვირებს ვაგზავნით, რომლებიც რუსეთს გაანადგურებენო, ამას ტაშით შეხვდებიან. მიშას არ ვიცი, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოს ნამდვილად დემენცია დაემართა. დღეს ადამიანებს, პირველ რიგში, განათლება, განათლება და



კიდევ განათლება სჭირდებათ. შეხედეთ, რა დონეზეა ქართული განათლება, მეცნიერება. ეს მიზანმიმართულად კეთდება — გაუნათლებელ კაცზე ზემოქმედება ადვილია. ლევან ბერძენიშვილი, უდავოდ, განათლებული კაცია, მაგრამ ერეკლე მეორეზე, რომელსაც ტანზე იმდენი ნახმლევი ჰქონდა, რამდენი წლისაც გარდაიცვალა, ამბობს, მოღალატე იყოო. თუ ამას ახალგაზრდა მოისმენს, რომელსაც წიგნი არ წაუკითხავს, მხოლოდ ინტერნეტგანათლება აქვს, ამ ამბავს უეჭველად დაიჯერებს. ადამიანები ერთ მნიშვნელოვან რამეს უნდა დააკვირდნენ: საკუთარ თავს, ქვეყანას თავად თუ არ მივხედეთ, დღევანდელ მსოფლიოში ისეთი ვითარებაა შექმნილი, წაგვლეკავენ.

**— კასიანოვმა განაცხადა: რუსეთთან უვიზო ფრენების აღდგენა საქართველოში მყოფ უკრაინელ მოქალაქეებს საფრთხეს უქმნისო.**

— ეს კასიანოვის განცხადება არ გახლავთ, არამედ ზელენსკის ხროვის — პოდოლიაკების, დანილოვების, არახამიების და მსგავსი ნაგავპოლიტიკოსების დავალებაა. მათი ერთადერთი მიზანი საქართველოს ომში ჩაბმა და აქ მეორე ფრონტის გახსნაა. ამას საქართველოში მე-17 საუკუნეში განვითარებულ მოვლენებს შევადარებდი. მაშინ სამეგრელოდან 40 ათასი კაცი მარტო ოსმალეთის ბაზრებზე გაყიდეს. ვინ აკეთებდა ამას? — გარე და შინაური ძალები. ზუსტად იგივე ძალებია, დღეს პოდოლიაკების, დანილოვების, არესტოვიჩების, არახამიების სახით, რომელთაც საქართველოში თავიანთი შემსრულებლები: დეკანოიძეები, გირჩი-ზურაბები, პატიკო მანჯგალაძეები, ჭიჭიკო ვაშაძეები და სხვები ჰყავთ. ისინი იგივე დავალებას ასრულებენ, რასაც ოსმალეთი იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოში. ესენი ფულის სანაცვლოდ ამკვიდრებენ აზრს: თუ საქართველო უკრაინას იარაღით არ დაეხმარება, ეს თურმე ჩვენი სირცხვილი იქნება. ზოგი ახალგაზრდა ამ ყველაფერს მართლაც იჯერებს. სწორედ ამას



ახმოვანებინებენ კასიანოვს. მან ჯერ „ბუკები“ მოითხოვა. ნაყიდის დაბრუნება ვის გაუგია?! მერე ჩვენი საბრძოლო მანქანა — „დიდგორი“ მოგვთხოვა. მათ სურთ, დაფიქსირდეს, რომ საქართველო უკრაინას იარაღით ეხმარება, რაც მაშინვე რუსეთის რეაქციას გამოიწვევს. ასე რომ, ესენი მე-17 საუკუნის საქართველოს მტრების გზის გამგრძელებელნი არიან. კასიანოვი იგივე ოსმალეთის ფაშაა, რომელიც იმ დავალებას ასრულებს, რასაც თავის დროზე ოსმალეთის აგენტურა საქართველოში აკეთებდა.

**— გამოდის, უკრაინის ხელისუფლება ქართველი ხალხის გვერდით არ დგას. ჩვენი სახელმწიფო დამნაშავეები, ყველა უკრაინამ შეიფარა. მერე ერთი დამნაშავე აქ არეულობების მოსაწყობად გამოგვიგზავნა და ახლა გვეუბნება: გაათავისუფლეთო...**

— პირდაპირ გეტყვით: უკრაინის ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართველი ხალხის გამოკვეთილი მტერია და მუდმივად ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევას ცდილობს. ისინი დამოუკიდებლად არ მოქმედებენ, არამედ გლობალური, უბნელესი ძალების დაკვეთით, რომლებიც, სამწუხაროდ, დღევანდელ მსოფლიოში ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებენ.

7 გვ. →

# რომელ ეროვნულ მოძრაობაზე საუბრობენ, როცა ლიაკას, გირჩისა და ჭიჭეს გენში ეროვნული კოდიც კი წაშლილია

## მიშამ სერგო ორჯონიკიძესაც აჯობა – სამშობლოს ტერიტორიები წაართვა და რუსეთს გადასცა



*გვესაუბრება დაჩი ცაგურია:*

**— დაჩი, რა პოლიტიკურ წარმოდგენებს მართავს „ნაციონალური მოძრაობა“ და როგორია მისი თეატრალური დასი?**

— „ნაციონალები“ ცირკის ჯამბაზები არიან, ოღონდ უნიჭო, ბოროტებით აღსავსე. ბავშვობაში მშობლებს ცირკში რომ დავყავდი, ჯამბაზებს კეთილ არსებებად აღვიქვამდი. ნაცები ჩამოლაბორანტებული, ბოროტი არსებები არიან, რომლებიც საზოგადოებაზე ვეღარ ანთხევენ ბოროტებას და ახლა ერთმანეთს დაერივნენ. მათთან დაკავშირებით „დათა თუთაშხიადან“ ფრაგმენტს გავიხსენებდი, სადაც ვირთხები ერთმანეთს ჭამენ. აი, სწორედ ეს ვირთხები არიან „ნაციონალები“. ვნახოთ, რომელი ვირთხა გაიმარჯვებს და ყველა დანარჩენს გადასანსლავს.

**— „ორი გვამის“ ავტორის პარტიაში დაბრუნებაზე რა მოსაზრება გაქვთ?**

— მერაბიშვილი პარტიიდან არც არასდროს წასულა და ვერც წავა. შეიძლება იგი ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილის 9 საათზე ოფიციალურად ოფისში არ მიდის, მაგრამ მერაბიშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი, მეგის ქარდავა, ახალაიები, „კასტილიანი“ კაცი — ყველანი „ნაცმოძრაობის“ სახეები, სული, ხორცი და ძალა არიან. მეტიც, გლდანის ნებისმიერი ჯალათი ამ პარტიის სახეა. აი, რაზე იდგნენ ნაცები, მათ ეს ბოროტება ასულდგმულებდათ. ისინი არსად წასულან. მეგის ქარდავა გულით, სულით ისევ პარტიაშია. რაც „კომუნისტური პარტიისთვის“ ლენინი იყო, იგივეა „ნაცებისთვის“ მერაბიშვილი. მოტვლეპილი თავით კიდევაც ჰგავს ლენინს.

**— „ნაცმოძრაობის“ არჩევნებში ხაბეიშვილმა გაიმარჯვა...**

— ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. ამ ომში გამარჯვებული მხოლოდ ბოროტებაა, სხვა ძალა, უბრალოდ, არ არსებობს. აქ არ არის არჩევანის საშუალება კეთილსა და ბოროტს, კარგსა და ცუდს, მართალსა და მტყუანს შორის, არამედ მხოლოდ ბოროტება, ბოროტება და კიდევ ბოროტება. საკითხი მარტივად დგას: ნაცებს აქვთ თავიანთი „მაყუთის“ არხები — ერთია კეზერაშვილის, მეორე — ნაყოფიასი. ეს არხები ახლა ორად გაიყო და ლაპარაკი მის ერთ კალაპოტში მოქცევაზე მიდის. დიახ, ხაბეიშვილის ფაიფურის კბილების ჩასმაზე, მის ახალ პალტოზე, ვინ ვის რა მანქანა აჩუქა — აი, ამაზე მიდის საუბარი. ანუ, ვინ დახარჯავს ამ ფულს. ამისთვის ჭამენ ერთმანეთს. გინახავთ, მათი დებატები პოლიტიკური პოზიციების გამო? მათ აინტერესებთ ის ფული, რითაც ქვეყანა ომის დროს გაგვიძარცვეს. სააკაშვილის დედამ, გიული ალასანიამ ომის დროს პირდაპირ ქალაქის ცენტრში გეპეის კორპუსები მოიპარა. 2008 წლის აგვისტოს საჯარო რეესტრით ერთ ლარად ამხელა ქონება გადაიფორმა, რაც ყოვლად ამორალურია. **გული მწყდება, რატომ არ აქვს ჩემს ქვეყანას იმის ძალა, რომ დედამისიც სააკაშვილთან ერთად ციხეში იჯდეს და ამ დანაშაულისთვის სასჯელს იხდიდეს.** როდემდე უნდა ეშინოდეს ამ ქვეყანას, ვიღაც ფულზე დახამებული ამერიკელი, ევროპელი თუ ჩინელი ლობისტების, რომლებიც მენტორული ტონით ჭკუას გვარიგებენ. არადა, ხომ დღესავით ნათელია დანაშაული, რაც გიული ალასანიამ ჩაიდინა. **ეს ქალი პირდაპირ მოროდიორია. დიახ, იგი ქურდიც არ არის, არამედ უფრო უარესი — ომის დროს ქვეყნის მძარცველი. თან, მოროდიორები ომში, ძირითადად, მაღაზიებს ძარცვავენ. გიულიმ — მთელი ქვეყანა გაძარცვა, კეზერაშვილმა — ქართული ჯარი**. ამ უკანასკნელმა, წერა-კითხვაც არ იცოდა, დღეს — მილიარდერია. ნაცებს უნდათ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და ნაძარცვ ფულს მილიარდები კიდევ შემატონ, თან პოლიტიკურ შლეიფს ამოეფარონ. თუ კეზერაშვილის დაჭერას გადაწყვეტენ, გვეტყვიან, რომ იგი მედიაგარემოს განვითარებას უწყობს ხელს. კეზერაშვილი ყოფილა თურმე თავისუფალი მედიაგარემოს გარანტორი. სინამდვილეში, ქურდი, ბანდიტია, რომელმაც ყაჩაღურად მიიტაცა მილიარდები. როცა კეზერაშვილი ფინანსური პოლიციის უფროსი იყო, ადამიანებს იჭერდა და მერე ფულს სძალავდა. ფულის გამოძალვის მიზნით ხალხის გატაცება ასეთი მასშტაბური საქართველოში ლეკიანობის მერე აღარ ყოფილა. ნაცებმა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცება ხელისუფლების ლეგალურ ბიზნესად აქციეს. კეზერაშვილმა კარიერა ასე დაიწყო და ქართული ჯარის ძარცვით დაასრულა. კეზერაშვილისა და ნაყოფიას მილიარდების დანაწილებაზე ბრძოლა გაგრძელდება. ერთი სიბინძურე მეორეს ეჯიბრება. წარმატებებს ვუსურვებ, რაც მალე დაჭამენ ერთმანეთს, მით უკეთესი.





**— მაინც, რა ღირებულებებს ხედავს კეზერაშვილი ხაბეიშვილში?**

— ხაბეიშვილზე უკეთესს ვერც იპოვნიდა. ძნელია, საკუთარ გუნდში წესიერი ადამიანი გყავდეს მაშინ, როცა შენ კეზერაშვილი ხარ. მასთან მიდის მხოლოდ ამორალური ხალხი, როგორიც ხაბეიშვილი და სხვები არიან. ორივე მხარეს ამორალური, ბინძური ხალხი დგას, რომელთათვისაც ნამუსი არაფერია. მკვლელებთან, გამაუპატიურებლებთან, ფულის გამომძალვის მიზნით ადამიანის გამტაცებლებთან, ქვეყნის მძარცველებთან წესიერი და პატიოსანი ვინ მივა?! როცა ადამიანი კეზერაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიების, მეგის ქარდავას და „კასტილიანი“ კაცის გვერდით დგება, მერე ძნელია, მას ღირებულებების დაცვა მოსთხოვო. ყველანი გაიძვერა ნაძირლები არიან.

**— ხაბეიშვილმა განაცხადა: ნუ შეგვეშინდება რევოლუციის, დესტრუქციის, მზად ვარ, „ვივამედში“ შევვარდე და სააკაშვილი დავიხსნაო.**

— ეს იქნება „ქაჯეთის ციხის“ აღების ეპიზოდი. ხაბეიშვილის შევარდნა და მისი მოტაცებული არ გაიშვას არსად. ამ ფრაზაში საინტერესო იყო შემდეგი: ახლავე შემიძლია მიშა მოვიტაცო, მაგრამ ჯერ ამის საჭიროება არ არისო. ანუ, თავად აღიარა, რომ მიშას ციხიდან გამოშვება საჭირო არ არის — მისი ადგილი იქ არის და დიდხანსაც მოუწევს იქ ყოფნა. დიახ, სასჯელს ბოლო წუთამდე მოიხდის. ხაბეიშვილი სად შევარდება და გამოვარდება, ამასაც ვნახავთ.

**— ზოგადად, საით მიდის ეს პროცესი — მიშას პარტიას „პარავენ“?**

— სააკაშვილმა გერმანულ გამოცემა „შპიგელს“ ინტერვიუ მისცა, სადაც აღნიშნა: საქართველოში ჩემი ჩამოსვლა რუსეთში ჩანერგილმა აგენტებმა დაგეგმესო. კი ბატონო, მიშას საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებში იყო. უკრაინა ხომ აქციეს ამ ქვეყნიდან წასული ნაგვების, დამნაშავე-კრიმინალების თავშესაფრად. მიშა მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში რუსეთის ინტერესებს ატარებდა. იგი რუსეთის ინტერესების ერთადერთი მსახური იყო. **რუსეთს სერგო ორჯონიკიძის მერე, საკუთარი ინტერესების ასეთი გამტარებელი აღარ ჰყოლია. მიშამ ორჯონიკიძესაც აჯობა — საკუთარი ქვეყნის ტერიტორიები რუსებს გადასცა,** მის პარტიაში ყველა აგენტი იყო. სააკაშვილი ქვეყანას ბოროტებით, ბოღმით გამსჭვალული მართავდა და ვისაც ეს არ მოგვწონდა, ყველას რუსეთის აგენტებს გვეძახდა. დიახ, საქართველოში მიშას ჩამოსვლა არეულობების მოწყობას ემსახურებოდა, რათა ამით რუსეთის ინტერესი დაეკმაყოფილებინა. ასე რომ, მიშადან დაწყებული, რუსეთის აგენტები თავიანთ რიგებში ეძებონ.

**— მიმდინარეობს საერთაშორისო კამპანია — „მიშას აწამებენ“...**

— ეს საქართველოს „გაშავებას“, შეურაცხყოფას, დამცირებას ემსახურება, რაც მათი სტილია. აქ შეკითხვები აღარ არსებობს — ბოროტება, რასაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია და რომელიც კრიმინალებით არის სავსე, მიწისაგან პირისა აღიგვება. მათი ლობისტები საქართველოზე ცუდ სტატიებს თუ წერენ, როგორმე გადავიტანთ. რა თქმა უნდა, იმის თქმა, რომ აქ მიშას აწამებენ, პირველ რიგში, შეურაცხმყოფელია იმ ხალხისთვის, რომლებიც ამ რეჟიმმა სასტიკად აწამა. სიმართლე ერთია: სააკაშვილს არავინ აწამებს, მისი სიკვდილი არავის ინტერესში არ შედის, გარდა თავისიანებისა. თავად სამეფო აპარტამენტებში წევს. წამებაზე თუ მიდგა საქმე, წამებული მიშა კი არა, სამედიცინო პერსონალია.

ახლა სააკაშვილის სასამართლო პროცესები მიმდინარეობს და, დარწმუნებული ვარ, ყველა დანაშაულისთვის პასუხს აგებს. ის, რომ მას თითქოსდა პიჯაკების საქმეზე ასამართლებენ, პიარის ნაწილია. ასევეა ბაჩო ახალაიას შემთხვევაში, რომელიც ვაშლის გათლის გამო კი არა, არამედ სასჯელს ადამიანების წამებისთვის იხდიდა. სააკაშვილის საქმეში საუბარია 97 მილიონი ლარის გაფლანგვაზე, რაც საკუთარი სიამოვნებისთვის დახარჯა. რატომ არავინ ახსენებს იმ ძვირფასს ნივთებს, რომლებიც თავისი ჰარამხანის ქალებს აჩუქა?! მას პიარულად აწყობს, ამას პიჯაკების საქმედ მოიხსენიებდნენ, თორემ 97 მილიონის, რა პიჯაკი იყიდა?! გარდა ამისა, სანდრო გირგვლიანის ეპიზოდზე სახელმწიფოს თანამონაწილეობაზე და სხვა ჩადენილ დანაშაულებზეც პასუხს აგებს. დარწმუნებული ვარ, მიშას სასჯელი კიდევ დაემატება.

**— რატომ გადასცა საქართველომ რუსეთს ტერიტორიები, ესეც ხომ გამოსაძიებელია?**

— იცით, რა მახსოვს, **ვანო მერაბიშვილი საჯაროდ რომ აცხადებდა: რუსებს შევთავაზეთ, გორში სტალინის ძეგლისთვის ბომბი ესროლათ, რაშიც ფულს გადავუხდიდითო. შსს**



**მინისტრი მტერს თავის ქვეყანაში რაღაცის აფეთქებას რომ სთხოვს, რაღაზე უნდა ვილაპარაკო.** ნაცები საქართველოს ინტერესების გარდა, ყველას და ყველაფერს ემსახურებოდნენ და დღესაც ემსახურებიან.

**— საქართველოსთან დაკავშირებით არაერთი აბსურდული რეზოლუცია ქვეყნდება. ახლახან გვითხრეს, რომ გვარამიას დაკავება ხელს უშლის 12 პუნქტის შესრულებას. ასევე, უნდა შემცირდეს დაძაბულობა მედიაგარემოში...**

— ეს 12 პუნქტიც საქართველოს წინააღმდეგ აგორებული კამპანიაა. ფაქტი ერთია, საქართველო უკრაინასა და მოლდოვაზე ბევრად წინ არის. მოლდოვას





კორუფციის ინდექსი კატასტროფულად მაღალი აქვს. უკრაინა ახლა ომშია, მაგრამ რეფორმების გატარებაზე არც მანამდე იკლავდნენ თავს. მედიაში იქ გაცილებით უარესი მდგომარეობა იყო, ვიდრე საქართველოში. საერთოდ, არ მესმის, საქართველოში მედიასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება რაიმე კითხვები არსებობდეს მაშინ, როცა ადამიანები ხელისუფლების წარმომადგენლებს პირდაპირ ეთერში დედას აგინებენ. საქართველოში მედია თავისუფალი კი არა, აღვირახსნილია. ჩვენთან ტელეეკრანებიდან შეუძლიათ იგინონ, შეურაცხყოფა მიაყენონ, წარმოუდგენელი რაღაცები დააბრალონ ადამიანებს, ცილი დასწამონ და ა.შ. სამწუხაროდ, საქართველოში მედია კი არა, თავად მედიისგან არ არის საზოგადოება დაცული. ჩვენ მედიისგან დაზარალებული უამრავი მსხვერპლი გვყავს. მეც არაერთხელ გავმხდარვარ მედიასაშუალებების მსხვერპლი. ადამიანებს წარმოუდგენელ შეურაცხყოფას აყენებენ, ცილს სწამებენ და დაცვის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. კი ბატონო, მედიის ეთიკის საბჭო გვაქვს, იტყვიან: დაჩი მართალიაო, მაგრამ აზრი რა არის, როცა უკვე შეურაცხყოფა მოგაყენეს, ხალხმა ეს წაიკითხა ან მოისმინა, შეექმნა შთაბეჭდილება, რომ საშინელი ადამიანი ხარ. შედეგი არაფერია. მათ ვალდებულებაც კი არ აქვთ, რომ მედიის ეთიკის საბჭოს მიერ გამოტანილ დასკვნაზე რეაგირება მოახდინონ. დიახ, მედიისგან დასაცავი სწორედ ხალხია!

**— ოცდაოთხი თებერვლიდან აქციები იგეგმება, რასაც „ეროვნული მოძრაობა“ დაარქვეს...**

— ღიმილის მომგვრელია ის, რომ ლიაკა ხოშტარია, გირჩი ჯაფარიძე და გიორგი ვაშაძე იწყებენ „ეროვნულ მოძრაობას“,



რომელთაც ყოველგვარ ეროვნულთან კონფლიქტი აქვთ. მათ შეუძლიათ ნებისმიერი მოძრაობა დაიწყონ, გარდა ეროვნულისა. ეს ხალხი ყოველგვარ ეროვნულთან დაპირისპირებაშია. ამით კიდევ უფრო სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. მე სიტყვა — „ეროვნული“ სწორედ გირჩი ჯაფარიძის საპირისპირო ცნებად მიმაჩნია. იგი არის პიროვნება, რომელიც წლების განმავლობაში მიშა სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ გარე-სპიკერი იყო და ნაცებს, როცა ისინი ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ, ენით ლოკავდა და „რეცხავდა“. ისინი რეალობას აცდენილები არიან. **მათი დაწყებული ეროვნული მოძრაობა ვერ წარმომიდგენია. რა ეროვნულ მოძრაობაზეა საუბარი, როცა მათ გენში ეროვნული კოდიც კი წაშლილი აქვთ.** მათი რესურსი არის ფეისბუქზე ასი მპოსტავი, ორასი დამკომენტარებელი და სამასი დამლაიქებელი. ეს არის მათი ეროვნული მოძრაობა.

თამარ შველიძე
555 23 28 24



# XXI საუკუნეში რუსეთისთვის 31 ტანკით ომის მოგება სიბრიყვეა!

5 გვ.

**— ადამ კინზინგერმა ჩვენს ხელისუფლებას კითხვა დაუსვა: ბოლოს როდის დაიბარეთ რუსეთის ელჩიო...**

— დიდი ეჭვი მაქვს, ყოფილ კონგრესმენ კინზინგერს მიშას მიერ მოპარულ ფულებს უჯიბავენ. კაცმა, რომელიც საქართველო-ამერიკის ურთიერთობებს განაგებდა, იკითხა: ბოლოს როდის დაიბარეთ რუსეთის ელჩიო?! ვპასუხობ: 15 წლის წინათ. ეს რა მარაზმი, ლობისტ-ფულობა და ქრთამისტობაა. მეტიც, კინზინგერმა და მისმა ორმა პოლიტიკურმა ძმამ ამერიკიდან 2020 წლის სექტემბრის დასაწყისში, არჩევნების წინა პერიოდში წერილი გამოაგზავნეს: დაუყოვნებლივ საარჩევნო კანონი მიიღეთო. ისინი საკუთარ ქვეყანას და თავიანთ ამომრჩევლებს არცხვენენ. ახალგაზრდობაში ამერიკაზე ასეთი წარმოდგენა არ მქონდა. დღევანდელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების ქმედებებმა, ჩვენს სამშობლოსა და, ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ მათმა აგდებულმა დამოკიდებულებამ რაღაცები გადამაფასებინა და მივხვდი: კინზინგერი, კუბილიუსი, ფოტიგა, კრამონი და სხვები გვმოძღვრავენ და იმას გვასწავლიან, რაც თავად არ იციან.

**— საქართველოში გადმოვინაცვლოთ. რა ხდება „ნაცმოძრაობის“ ფრონტზე?**

— ჩემი აზრით, ამ ფრონტზე ბევრი არაფერი ხდება. ქართულ საზოგადოებას „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ასპარეზიდან ჯერ კიდევ 2013 წელს უნდა გაექრო. ამის ნებას მათი დასავლელი „დედები“ არ გვაძლევდნენ, ამიტომ პროცესი დღევანდელ დღემდე მოვიდა და ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებული. როცა „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე ხაბეიშვილია, ამით ყველაფერი ნათქვამია. მას თავი ხაბევარად წარმოუდგენია. მეტიც, ახლა ტარიელობა და ციხეში გამოკეტილი „სატრფოს“ დახსნა მოუნდა, მაგრამ ავთანდილობაზე პატიკო მანჯგალაძემ უარი განუცხადა, უღალატა. ეს უკვე კომიზმია. ვწუხვარ, რა დროს აღარ არის ცოცხალი პოლიკარპე კაკაბაძე. „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორს ამაზე მეტი ცინცხალი მასალა რა უნდა ჰქონოდა, რაც ნაცების თავს ხდება. ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეში“ ასეთი ფრაგმენტია: გურული მეზობელი ეძახის მეორეს, ომი



დამთავრდაო. როგორო? — გერმანელი შემხვდა გზაზე და შუა გურიაში მჭადი მთხოვა, დამთავრებულია ომი, აბა, რა არისო. **ხაბეიშვილი რომ იქნება „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე, იქ დამთავრებულია „ნაცმოძრაობა“, აბა, რა არის. ეს ტრაგიკომედიაა.** მიკვირს იმ ხალხის, ვინც მათ მხარს უჭერს.

ოპოზიციამ აქციები დაგვიანონსა. ერთს გეტყვით: მათ აქციებზე იმდენი ხალხი მივა, რამდენიც ბებიაჩემ ოლღას ხუთი წლისთავზე ჩემს ჭურისთავზე ისხდა. ნულს მივუმატოთ ნული, კიდევ ნული, კიდევ ნული და ასე უსასრულობამდე, ხომ მაინც ნული იქნება. ასეა ამ აქციონერების საქმეც. საბედნიეროდ, ქართული სახელმწიფო, ხალხი თავისუფლდება იმ მოღალატე, მარაზმატული ძალისგან, რასაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია. ეს უაღრესად კარგია — მის ადგილას ახალი, ძლიერი, ოღონდ კონსტრუქციული ოპოზიციური ძალა ჩამოყალიბდება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის განვითარებაზე და არა მის დაღუპვა-დაქცევაზე.

**— ივანიშვილის ადვოკატებმა გამოაქვეყნეს წერილი, სადაც აღნიშნეს, რომ მასზე დასავლეთიდან პოლიტიკური ზეწოლა და არაფორმალური სანქციები ხორციელდება. ოპოზიციურმა არხებმა მაშინვე „გადათარგმნეს“: აი, დამტკიცდა, რომ ივანიშვილი რუსეთს უკრაინასთან ომში ხელს უწყობდაო. თქვენ როგორ აღიქვით ეს განცხადება?**

— ეს აღვიქვი ისე, როგორც ერთ ძველ თქმულებაშია: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“. ყველამ კარგად ვიცით, რომ ივანიშვილზე, მის ავტორიტეტზე მთელი ქართული სახელმწიფოებრიობა დგას. სწორედ ბიძინა ივანიშვილია ის პიროვნება, ვინც ქართულ სახელმწიფოს, ერს ერთობას უნარჩუნებს. აი, ამ ერთობისთვის უნდათ ძირის გამოთხრა. მაგრამ ისტორია სასწაული მეცნიერებაა, რომელიც არავის არაფერს უკარგავს. ივანიშვილს ასე ადვილად ვერავინ შეაშინებს, რადგან მან საკუთარი ჯიბიდან 4 მილიარდი დოლარი ამოიღო და ქვეყნის განვითარებას დაახარჯა. მაშინ, როცა სააკაშვილებს, კეზერაშვილებს და ა.შ. აქედან აქვთ 4 მილიარდი მოპარული და ქვეყნის გარეთ გატანილი. ამიტომ, რა ღონისძიებებსაც უნდა მიმართონ და მის „გასაშავებლად“ იხტუნონ, მაინც ვერაფერს გახდებიან, რადგან ივანიშვილი ქართული სახელმწიფოს ის გუშაგია, რომელიც ენას, მამულს და სარწმუნოებას თავგამოდებით იცავს!



თამარ შველიძე
555 23 28 24

# ცხელი წერტილების რაოდენობა მსოფლიოში ყოველდღიურად მატულობს



## გერმანული ტანკები რუსეთში თუ პირიქით?

„...უკრაინის დასახმარებლად ევროპის ქვეყნებმა კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, რადგან ჩვენ არა ერთმანეთთან, არამედ რუსეთთან ვაწარმოებთ ომს“, — განაცხადა გასულ კვირას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა ევროპარლამენტში გამოსვლისას. მინისტრის სულისკვეთებას გერმანიაში ბუნდესტაგის დეპუტატებიც კი არ იზიარებენ. ორი კვირის წინ პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ დეპუტატებმა პირდაპირ განაცხადეს: „...გაიხსენეთ 1945 წელი, მეორე მსოფლიო ომის დასასრული, როდესაც საბჭოთა, იგივე რუსეთის ტანკები გერმანიაში შემოვიდნენ. ყოველივე ნახეს ჩვენმა წინაპრებმა, მამა-პაპებმა. თქვენც ასეთი შედეგი გინდათ?“ — ითქვა უკრაინისთვის ტანკების გადაცემის თაობაზე გამართულ დებატებზე. გერმანიის ახალდანიშნული თავდაცვის მინისტრი ბორის პისტორიუსი თავდაპირველად უკრაინელებისთვის „ლეოპარდების“ გადაცემის წინააღმდეგი იყო, მაგრამ...



## ძალა აღმართს ხნავს...

ევროპელი ანალიტიკოსების ვარაუდით, ორი კვირის წინ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ლოიდ ოსტინის გერმანიაში ჩასვლამ და პისტორიუსთან შეხვედრამ შედეგი გამოიღო — უკრაინა მარტის ბოლოს გერმანულ ტანკებს მიიღებს. უკრაინელები ითხოვენ, დააჩქარონ ტექნიკის გადაცემა, მაგრამ პრობლემა უკრაინელი სამხედროების მოუმზადებლობაა. ამიტომ უკრაინელ სამხედროებს გერმანელი ინსტრუქტორები გაწვრთნიან. საერთო ჯამში, უკრაინა 80 „ლეოპარდს“ მიიღებს.

## ნატო რუსეთთან საომრად ემზადება...

ირონიული კომენტარი გააკეთა ბერბოკის ევროპარლამენტში გამოსვლაზე ხორვატიის პრეზიდენტმა ზორან მილანოვიჩმა: „...ჩვენ არ ვომობთ რუსეთთან და არც ვაპირებთ. თუ გერმანია ომობს, ეს მათი საქმეა, იქნებ, იმაზე უკეთ იომონ, ვიდრე 80 წლის წინათ, მეორე მსოფლიო ომში“. მილანოვიჩის მოსაზრებას იზიარებს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანიც. თუმცა მათ „მძიმეწონიანი“ მოწინააღმდეგეები გამოუჩნდათ. ნატოს ადმირალის, რობ ბაუერის განცხადებით, ალიანსი მზად არის, რუსეთთან პირისპირ შევიდეს კონფრონტაციაში. თუმცა, მიიჩნევს, რომ მანამდე ნატოს ქვეყნებში უნდა გაძლიერდეს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. თუმცა, რითი დასრულდება სამყაროსთვის ნატო-რუსეთის შეიარაღებული დაპირისპირება, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

## ტანკები, თვითმფრინავები და ახლა უკვე წყალქვეშა გემიც?..

ორხელისუფლებიანობის ნიშნებია აშშ-ში. ერთ მხარეს პრეზიდენტი ჯო ბაიდენია, მეორე მხარეს, კონგრესში — რესპუბლიკური პარტია უმრავლესობაში. უკრაინისთვის იარაღის მიწოდება ამერიკაში (და არამარტო იქ) კვლავ აქტუალურად განიხილება. გასულ კვირას ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ უკრაინის შეიარაღებისთვის დამატებით 400 მლნ დოლარს გამოყოფს. ამასთან, ქვეყანას მიაწვდის 31 თანამედროვე, „აბრაამსის“ ტიპის ტანკს.

„...ოსტინმა დამარწმუნა, რომ „აბრაამსები“ გააძლიერებს უკრაინელების ბრძოლისუნარიანობას!“ — განაცხადა ბაიდენმა. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ „აბრაამსების“ მიწოდება არც განიხილებოდა, რადგან მოუმზადებელი უკრაინელი სამხედროები ვერ შეძლებდნენ თანამედროვე მძიმე ტექნიკის გამოყენებას. ამასთან, ტანკი მძიმეა, ერთ კმ-ზე 7 ლ საწვავს ხარჯავს და ტალახში მანევრირება უჭირს. გადაწყდა, რომ უკრაინელ სამხედროებს დაჩქარებული პროგრამით გაწვრთნიან, რასაც 7-8 თვე დასჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემენ ტექნიკას.

რესპუბლიკელი და დამოუკიდებელი პოლიტიკოსები შიშობენ, რომ ტანკების გადაცემის შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უკრაინაში სრულფასოვან ომს დაიწყებს. დღეს მიიჩნევა, რომ რუსეთი მხოლოდ სპეციალურ სამხედრო ოპერაციას ატარებს. ბაიდენის განცხადებით, კონგრესში რესპუბლიკელების ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე ის ვეტოს გამოიყენებს. ამერიკული პრესის ინფორმაციით, პენტაგონში არ გამორიცხავენ, რომ უკრაინას გადასცენ 300 კმ-ზე მოქმედი რაკეტები. მაღალჩინოსანი სამხედროების ნაწილი უკრაინისთვის სამხედრო თვითმფრინავების F-16-ების გადაცემს ემხრობა. თვითმფრინავების გარდა, უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი გერმანიისგან წყალქვეშა სამხედრო გემის გადაცემასაც ითხოვს, რუსეთს შავი ზღვის აკვატორიაში სათანადო პასუხი რომ გავცეთო, აცხადებს.

## ტრამპი რუსეთთან მოლაპარაკებების მომხრეა

საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო აშშ-ში პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა დონალდ ტრამპმა. მომხრეებთან შეხვედრისას მან ტრადიციულად გააკრიტიკა ქვეყნის დღევანდელი ადმინისტრაცია უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების გამო. „...ეს უაზრო ომი სასწრაფოდ უნდა დასრულდეს... მე რომ პრეზიდენტი ვყოფილიყავი, შარშან რუსეთ-უკრაინის ომი არ დაიწყებოდა“, — უთხრა მხარდამჭერებს ტრამპმა. მისივე თქმით, რუსეთთან ურთიერთობა დიალოგით უნდა დარეგულირდეს. ტრამპის მოსაზრებას იზიარებს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი, რომლის განცხადებით, აშშ-ის ხელისუფლება მზად არის, განაახლოს რუსეთთან მოლაპარაკებები.

## ლეხ ვალენსა პუტინის წინააღმდეგ

თუმცა, სამშვიდობო დიალოგს ყველა ქვეყანაში არ ემხრობიან. გასულ კვირას პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა ლეხ ვალენსამ ბრიტანულ გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა: „...პოლონეთს ყოველთვის ჰქონდა რუსეთთან პრობლემები... შთამომავლობა არ გვაპატიებს, რომ ახლა არ გამოვიყენოთ პუტინის შეცდომა და არ გავუსწორდეთ რუსეთს“.



## ოჯახზე გაბრაზებულმა ჯავრი საელჩოზე იყარა...

მსოფლიოს საინფორმაციო სივრცის ყურადღების ცენტრში გასულ კვირას ირანი იყო. თავდაპირველად გავრცელდა ცნობა აზერბაიჯანის საელჩოზე თავდასხმის შესახებ. მოგვიანებით გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს, რომ თავდამსხმელი მანქანით მივიდა საელჩოსთან და პარკირებისას წინ მდგომ ავტომანქანას დაეჯახა. თავდამსხმელი ავტომატით გადმოვიდა მანქანიდან. ხმაურზე საელჩოს დაცვის თანამშრომლებმა დააპირეს გარეთ გასვლა, მაგრამ კარში თავდავსხმელს შეეჯახნენ, რომელმაც გასროლა მოასწრო, რის შედეგად საელჩოს დაცვის უფროსი დაიღუპა. დაცვამ თავდამსხმელის განეიტრალება შეძლო. ის ირანის მოქალაქე აღმოჩნდა. შეტევის მიზეზად მან ოჯახური დრამა დაასახელა. სხვა კომენტარი ირანისა და აზერბაიჯანის ოფიციალურ პირებს არ გაუკეთებიათ. თუმცა, გავრცელდა ხმა, რომ აზერბაიჯანელები საელჩოს ევაკუაციას აპირებდნენ. მომხდარზე სხვა განმარტებები ჯერ არ გაუკეთებიათ.

## პენტაგონი „ხელებს იბანს...“

საელჩოზე თავდასხმიდან ორი დღის შემდეგ ირანზე საჰაერო შეტევა განხორციელდა. უპილოტო საფრენმა აპარატებმა ქვეყნის ხუთ პროვინციაში დაბომბეს სამხედრო-სამრეწველო ობიექტები, ააფეთქეს საწვავის საწყობი, რის შედეგადაც გაჩნდა ხანძარი. სააგენტო „ალ არაბიამ“ თავდაპირველად გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს შეტევა ისრაელმა განახორციელა. ირანის ხელისუფლება მომხდარს თავშეკავებით შეხვდა: რომელი ქვეყნიდან განხორციელდა შეტევა, რომელი ქვეყნის ნაწარმია უპილოტო აპარატები, ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ. ორი დღის წინ კვლავ განხორციელდა ირანზე საჰაერო თავდასხმა ქვეყნის ორ ლოკაციაზე. გავრცელებული ინფორმაციით, ამჯერად ზარალი წინა შეტევასთან შედარებით მცირეა. ირანის ხელისუფლება კვლავ დუმს. სავარაუდოდ, გამოძიების დასრულებას ელოდებიან, რათა ზუსტად დაასახელონ შეტევის „ავტორები“.

## შავები VS თეთრები

აშშ-ში კვლავ გააქტიურდნენ ე. წ. მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“-ს წევრები, რომლებიც 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ დუმდნენ. მსოფლიოს პოლიტოლოგები თითქმის მტკიცებით ფორმაში აცხადებენ, რომ ე. წ. ორგანიზაცია, რომელიც დონალდ ტრამპის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს, დემოკრატებისგან იმართებოდა. „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“-ს ხელმძღვანელები არაერთხელ ამხილეს კორუფციაში, მაგრამ შავკანიანები აშშ-ში ხელშეუხებლობით სარგებლობენ. ამჯერად გამოსვლების მიზეზი იანვრის დასწყისში პოლიციელების მიერ ცემის დროს დაღუპული მამაკაცი გახდა, რომელიც ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის ნათესავი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელებიც შავკანიანები არიან, მაგრამ ორგანიზაციის აქტივისტები მომხდარს თეთრკანიანებს აბრალებენ — შავკანიანების მიმართ დაუნდობელი მოპყრობა მათი დაწყებულიაო.

## რა „ღირს“ ნიკოლას მადურო...

საგულისხმო ცნობები გავრცელდა სამხრეთ ამერიკიდან. ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ ოფიციალური ვიზიტები გააუქმა. როგორც იუწყებიან, მისი ლიკვიდაციისთვის დაწესებული ყოფილა სოლიდური ფულადი ჯილდო. მადუროზე ადრეც განხორციელდა თავდასხმა. ოთხი წლის წინ აღლუმის მსვლელობისას უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით შეეცადნენ მის ლიკვიდაციას. მადუროს წარბიც არ შეუხრია, დაცვამ მოვლენების ეპიცენტრიდან ძალით გაიყვანა. ვენესუელის პრეზიდენტი მშიშარა ნამდვილად არ არის, მაგრამ სიფრთხილის გამოჩენა სჯობს.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# სანქციების მსოფლიო ისტორია

## როგორ უმკლავდება ვენესუელა დასავლეთის მიერ გამოცხადებულ ბლოკადას

### წინააღმდეგობის თეორია

მიუხედავად ვენესუელას ეკონომიკისა და სოციალური სფეროსთვის მიყენებული ძლიერი დარტყმისა, სანქციებმა მთავარ მიზანს — არსებული რეჟიმის შეცვლას — ვერ მიაღწია. სანქციებმა პირიქით, საზოგადოების კონსოლიდაცია და ოპოზიციის შესუსტება გამოიწვია. ვენესუელას მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია ის, რომ ისინი უფრო მეტად ენდობოდნენ მთავრობას, იღებდნენ სასურსათო დოტაციებს და სოციალური მხარდაჭერის სხვა გამოვლინებებს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სანქციებს არც ელიტაში გამოუწვევია უკმაყოფილება.

თუ ვენესუელელი პოლიტიკოსები მადუროს განუდგებიან, ვისთან უნდა აწარმოონ მოლაპარაკებები? ამერიკელებთან, რომლებმაც ისინი ტერორისტებად, ნარკომოვაჭრეებად გამოაცხადეს და სანქციები დაუწესეს? ეს ხომ ძალიან საშიშია.

2021 წლის თებერვალში ამერიკას და დასავლეთის ქვეყნებს გაეროს ექსპერტებმა ცალმხრივი სანქციების გაუქმებისკენ მოუწოდეს. მათ განაცხადეს, რომ მკაცრი შეზღუდვები ყველაზე მეტად ქალებზე, ბავშვებზე, მოხუცებსა და ინვალიდებზე აისახა ყველაზე მწვავედ. ამერიკის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მეცნიერებმაც გააკრიტიკეს ამერიკის მიდგომა და მოუწოდეს, მხარი დაეჭირათ მოსახლეობისათვის.




ეკონომიკურ სანქციებთან ერთად ამერიკული მხარე ცდილობს, შეარყიოს ვენესუელაში პოლიტიკური მდგომარეობა და მხარს უჭერს ოპოზიციის ლიდერს ხუან გუაიდოს. ამერიკის ყოფილი პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ის 2018 წლის არჩევნებში გამარჯვებულადაც ცნო. მის მაგალითს მისდიეს დიდმა ბრიტანეთმა და დასავლეთის სხვა ქვეყნებმა. ამის გამო ქვეყანაში არაერთხელ გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, რომლებიც თითქმის ყოველთვის პოლიციასთან შეტაკებით მთავრდებოდა. ამჟამად ყველა მოქალაქე საკუთარი პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული.

ექსპერტების დასკვნით, სანქციები მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეფექტიანი, როცა სანქციების ინიციატორი და ობიექტი ერთ სამართლებრივ და ღირებულებათა ენაზე საუბრობენ. სანქციები პოლიტიკური ზეწოლის არაეფექტიანი ინსტრუმენტია და იშვიათად მოაქვს სასურველი შედეგი. საბოლოოდ კი სწორედ ის ქვეყანა აღიქმება დაზარალებული ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან მტრად, რომელმაც შეზღუდვები დააწესა.

სანქციებს, რომლებიც ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლისკენ არის მიმართული, შეუძლია უკუეფექტის გამოწვევა და მოქალაქეების იმ ლიდერის გარშემო გაერთიანება, რომლის ჩამოგდებაც სურთ. ასეთ შემთხვევაში, სანქციების დაწესება უფრო საჩუქარია იმ მთავრობისთვის, რომლის შეცვლასაც აპირებენ.

ვენესუელას ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, შეემცირებინა სანქციების გავლენა მოსახლეობაზე. 2018 წელს კარაკასში შემოიღეს ნაციონალური ციფრული ვალუტა „ელ პეტრო“, რომელიც ნავთობით, ოქროთი და ბუნებრივი აირით არის უზრუნველყოფილი. ერთი პეტროს ფასი ერთი ბარელი ნავთობის ეკვივალენტია. ამ კრიპტოვალუტის დახმარებით კარაკასი სახელმწიფო ვალის გადახდას და უცხოელი კრედიტორებისთვის ობლიგაციების საფასურის გადახდას აპირებდა. თეთრმა სახლმა მალევე აუკრძალა ამერიკის ყველა ბანკს, კომპანიასა და მოქალაქეებს ამ ვალუტით ნებისმიერი ოპერაციის განხორციელება.

### ალტერნატიული ურთიერთობები

იმ დროისთვის ვენესუელამ ახალი ეკონომიკური კონტაქტები დაამყარა. ჩინეთში, ინდოეთსა და თურქეთში მოიძიეს ალტერნატიული პარტნიორები, რომლებიც ვენესუელას ვაშინგტონის სანქციების ეფექტის შემცირებაში ეხმარებოდნენ. ამერიკაში ნავთობისა და სხვა წიაღისეულის გაყიდვაზე აკრძალვის შემდეგ, ინდოეთი ვენესუელური ნავთობის ყველაზე მნიშვნელოვან მყიდველი გახდა. 2018 წლისთვის ყოველდღიური მიწოდება ინდოეთისათვის 340 ათასი ბარელი იყო. მიუხედავად ამერიკის ზეწოლისა, ინდოეთმა არჩევანი ვენესუელას სასარგებლოდ გააკეთა.

აზიაში რესურსებზე მოთხოვნა მატულობს, ჩინეთიც ყიდულობს ნავთობს ვენესუელასგან, რაც კარაკასს კრიზისის დაძლევაში ეხმარება.

სერიოზული დახმარება გაუწია ვენესუელას რუსეთმაც.




მიუხედავად მეორადი სანქციებისა, საერთაშორისო მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ვენესუელას ეკონომიკაზე უარყოფითი ეფექტი შეასუსტა. მწვავე კრიზისის პირობებში რესპუბლიკამ რეფორმები და ეკონომიკის ლიბერალიზაცია განახორციელა. ამგვარად, ვენესუელას მთავრობამ შეარბილა ბიზნესის რეგულირება და უარი თქვა ფასებისა და სავალუტო კონტროლზე, რომელიც ჩავესის მმართველობის დროს მოქმედებდა. ამ ნაბიჯის წყალობით, ბევრი ნივთი, რომელიც ადრე მიუწვდომელი იყო, ახლა მაღაზიებში გაჩნდა.

მადურო დიდი ხნის განმავლობაში ვერ ბედავდა ეკონომიკის ლიბერალიზაციას, რადგან ნეგატიური ელექტორალური შედეგების ეშინოდა, მაგრამ სანქციების პირობებში მოუწია ზოგიერთი რეფორმის განხორციელებამ, რომლებმაც, ვენესუელას ეკონომიკის აღდგენა თუ ვერ შეძლეს, გამოჯანსაღების შანსი მაინც მისცეს მას.

### გამოსავალი არსებობს

2021 წელს ვენესუელას ეკონომიკაში ზრდა დაიწყო. ეკონომისტები პროგნოზებს ფრთხილად აკეთებენ, მაგრამ წინასწარმეტყველებენ ეკონომიკის და ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდას, რასაც იმპორტის მატებას, ნავთობმოპოვების განვითარებას და ლიბერალურ რეფორმებს უკავშირებენ. კეთილდღეობის მისაღწევად ქვეყანას კიდევ არაერთი წელი დასჭირდება.

ვენესუელას ბუნებრივი რესურსების მარაგს და მის მრეწველობაში ინვესტიციების განხორციელებას არამარტო ვენესუელას, არამედ მთელი ლათინოამერიკული რეგიონის განვითარების დაჩქარება შეუძლია. მადუროს სიტყვებით, ინვესტირების შემთხვევაში ვენესუელას დღე-ღამეში მილიონი ბარელი ნავთობის მოპოვება შეუძლია.




### არამარტო ნავთობი

გარდა ნავთობმოპოვებისა, ვენესუელას ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებისთვისაც აქვს პოტენციალი. ქვეყანაში კარგი პირობებია მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისთვის. ზღვის სიახლოვე თევზჭერის მრეწველობის განვითარების შესაძლებლობასაც იძლევა. ვენესუელას შეუძლია ბიუჯეტის ტურიზმის საშუალებით შევსება, როგორც ეს დომინიკის რესპუბლიკამ, კუბამ და სხვა ლათინოამერიკულმა ქვეყნებმა გააკეთეს. ვენესუელას ეკონომიკაში დამატებითი ინვესტიციები და უცხოელების ინტერესის გაზრდა მთელ რეგიონს წაადგებოდა.

### სანქციები და შეცდომები

მკაცრმა სანქციებმა და მსოფლიო ენერგეტიკულმა კრიზისმა ლათინური ამერიკის უმდიდრესი ქვეყანა ჰუმანიტარულ კატასტროფამდე მიიყვანეს. მნიშვნელოვანი როლი კი ვენესუელას ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებულებამ და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში დაშვებულმა შეცდომებმაც შეასრულა. თუმცა სანქციებმა მთავარ მიზანს მაინც ვერ მიაღწია — მადურომ ზეწოლას გაუძლო, მას ვერაფერი მოუხერხეს. ვენესუელას ყველა შანსი აქვს, განაგრძოს განვითარება.

### მთავარია ერთგულება

„არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, მით უმეტეს, ვენესუელა, არასოდეს დადგება მუხლებზე და არ უღალატებს საკუთარ მემკვიდრეობას“, — განაცხადა ვენესუელას პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ.

ეს გახლავთ მეხუთე, ბოლო წერილი ციკლიდან „სანქციების მსოფლიო ისტორია“. კუბის, სირიის, ირანის, ჩრდილოეთ კორეისა და ვენესუელას მიმართ განხორციელებულ სანქციებს ამერიკისა და მისი დასავლელი პარტნიორებისათვის სასურველი შედეგები არ მოუტანია. ვერც მოუტანდა, რადგან ნებისმიერი ქმედება უკუქმედებას იწვევს...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



# მიხეილ (მიშა) ჩამოტყუებული

*„ბატონო პრეზიდენტო, შენ რომ წამების მსხვერპლი არ იყო და ძლევამოსილი პრეზიდენტის პედასტალზე იდგე ერთი დღე აღარ ვიქნებოდი შენი მხარდამჭერი! არასწორად მიმაჩნია კიდევ ქარაგმებით საუბარი და ენ-მ-ის გულშემატკივარი ხალხის ნერვებზე თამაში და კიდევ უფრო მეტი დაბნეულობის შემოტანა პარტიაში! საფლავში გინდათ საიდუმლო წაიღო! იცოდეთ, ასეც მოხდება და ბევრი ადამიანი განაწყენებული დაგრჩებათ! დროულად თქვით რა არის სიმართლე და იქნებ ამ სიმართლის გარშემო გავერთიანდეთ ერიც და ბერიც! დავიღალე ამ ქარაგმებით, თქვენ არ დაიღალე ამ წამებით და უძრაობის ჭაობში ყოფნით?! კმარა! – სიმართლე ყველამ უნდა ვიცოდეთ!*

***P.S.** ამჯერად ვინ გაგყიდათ ძალიან მაინტერესებს. ჩვენი ბოლო შეხვედრაც მახსოვს და თქვენი ოპტიმიზმიც. ვინ იდგა ამ ღალატის მიღმა?!*

*ამ ინტრიგების და ქარაგმების მსხვერპლი ხართ დღემდე! საზოგადოება დაბნეული შემოგყურებთ! მე პირადად არ მინდა ვინმეს მარიონეტი ვიყო!“ —* წერს გია ხუროშვილი.

რა ქარაგმებიო, რას გოდებს ეს ჩვენის პატივცემული? ცოცხალი „მენდელეევის ცხრილი“ ამბობს: „გამორიცხული არ არის, რომ ხალხი, რომელმაც 2021 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩემი დაბრუნება დაგეგმა, რუსეთის ჩანერგილი აგენტები იყვნენ“.

ისადა, მიხეილ ჩამოტყუებულო, იმათ მხოლოდ საქართველოში შემოყვანა დაგეგმეს და მეტი არაფერი? ჰაააა-მეთქი! აბა, გააღე პირი და თქვი: აააააა! რა დაგიგეგმეს, რა უნდა მოგემოქმედა, რაზეც ხელების ფშვნეტით ჭყლოპინით დათანხმდი? ისიც მოაყოლე, ვინ იყო ის დამგეგმავი (დამგეგმავები), რას გადაჰფარებიხარ, ხომ ხედავ, ფეკალიების სროლაც დაგაწყებინეს ისედაც ყელამდე ქაქში ჩარჭობილს...

გაწოლილა ამხელა ოქლაქი და იმ არიის გაგრძელებას აპირებს თავისი ჭკუით, შემოპარვისას რომ მღეროდა, მომიტაცეს, მაგრამ არ ვიცი, რომელი ქვეყნის დაზვერვის სამსახურმაო.

ქარაგმები კი არა, ისეთი მსუყე ნართაული თქვა, როგორც მის პარტიაში, ისე სხვა ქვეყნებში ააჟიმჟიმა ბარე ორიც და ორმოცდაორიც...

ჩემს სიყრმეში ამბავი გავრცელდა: ტიპმა ტაქსი გააჩერა და იარაღის მუქარით თბილისის ზღვაზე აიყვანა, გააჩერებინა სადღაც მოფარებულში და მძღოლს უბრძანა, მანქანიდან გადმოდიო. გადმოვიდა აკანკალებული მძღოლი. ჩაიხადე და წაიკუზეო. ვედრებად დაეცა მძღოლი, მაგრამ შეუვალი აღმოჩნდა მბრძანებელი. სიკვდილს ჩაზდა ამჯობინა სიცოცხლისმოყვარემ. დგას და ელოდება საშინელებას. ჩქამი არ ისმის. გაიხედა და ტიპი იარაღით ხელში კლოაკაში შეჰყურებს. რას აკეთებო — სულ გადაირია მძღოლი. მაინტერესებდა, როგორი იყო პრ....ის ჟიმჟიმი, აიწიე, წაველითო. მიშა ჩამოტყუებულის ერთი ფრაზის შემდეგ, სწორედ მსგავსი ჟიმჟიმი ექნებათ იმ ბარე ორმოცდაორსაც.

„მიშა, ჰამოდი“ „მიშა, ჰამოდი!“ — ევედრებოდნენ და აჰა, ჰამოვიდა!

ჩამოტყუებამდე ლამის ყოველ „საპრაზდნიკოდ“ ახარებდა საკუთარ მლოცველებს, ჩამოვდივარ და დამიხვდითო, მაგრამ არ ჩამოდიოდა, მხოლოდ იქადნებოდა, „სიურპრიზებს ელოდეთო“ და დასახვრეტი ხალხის სიებს ადგენდა. მაშინ ვარაუდობდნენ, ვიღაცის ხელის აქნევას ელოდება, ისეთისას, ვინც განსაზღვრავს მის წადი-მოდისაც და სხვა ყველაფერსაცო.

ახლა დაგნარი რომ ატყდა მისსავე პარტიაში თუ ნაპარტიალში, ხან უდე-ვანოს ებძგვნენ მისი ყოფილი მოადგილე ლორთქიფანიძიანად, რომელიც უკრაინაში „დიდ კაცად“ იქცა და ხან — საბრალო ნიკანორ მელიას, მთლად გამარტივდნენ?

კაცისებრი, რომელსაც ძალაუფლების გარეშე საკუთარი ჩრდილისაც ეშინია, უმყარესი გარანტიების გარეშე იმ საქართველოში ჩამომსვლელი იყო, სადაც სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული მასზე და თეა წულუკიანი, მთელი ის ხანი, რაც იუსტიციის მინისტრი იყო, მიშას ყოველ გაფაჩუნებაზე საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისთანავე პატიმრობას ჰპირდებოდა?!

მართალია, თავდაპირველად ყატყატებდა, პატრიოტულმა სულისკვეთებამ მაიძულა, არაჟნის კონტეინერით შემოვპარულიყავი საქართველოშიო, მაგრამ ახლა „პლასტინკა“ შეცვალა, ცოტა არ იყოს, „აირია“, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელი აღმოჩნდა, დემენციამ აშკარად გაუარა „შპიგელთან “ მიმოწერისას.

მიშა დემენციანს რა უჭირს, დედა-გიულიც კი აირია მას შემდეგ, რაც დედა-გიულის ამბავი გამოუქვეყნეს, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლამდე ჩაწერილი, მაგრამ ავთენტურობა დადასტურებული არ არისო. „შოკისმახსოვს. რაზეა ლაპარაკი?“

რა ოხუნჯია ეს დედა-გიულიც — თითქოს თემურ ალასანია ან ბიძაჩემი იყოს, ან ჩემი ძმა... რეებსა კაკანებს, სიტყვა-სიტყვით რომ მიჰყვეს ადამიანი, ყველა სიტყვაზე ყურებით არის დაჭერილი აღვირახსნილი სოსისივით...

(ყველასათვის ცნობილი პიროვნებაა. ასაკოვანი ბებია ჰყავდა, თავადების შთამომავალი და თავადურად აღზრდილი. როდესაც პირველად იხილა ოჯახში ცელოფნიანი სოსისი, შვილიშვილს, ამ ცნობილ პიროვნებას ჰკითხა, რა არის ესო? ის ვერ იყო ხასიათზე და მიახალა — პრეზერვატივშიაო და ყარაულად დაუყენა ბებია, მიხედე, მოვალ

ვინ აზრჩობდა ამ ჩვენის მენდელეევის ცხრილს, ან ვინ სცემა?

ვა, მიშაჯან, კრიმინალებს არ ჰყვარებიხარ? და შენც რომ კრიმინალი ხარ და ყველა იმ ერთად აღებულ კრიმინალზე მეტად კრიმინალი, ეგ არ ვთქვათ? შურთ მიშაჯან შენი, შური აყვირებდათ, ეს ჩვენზე კრიმინალი რა აპარტამენტებში ჩაგისვამთო...

„შპიგელთან“ ისიც მოიტირა, ადვოკატების და სხვა რამის ფულიც აღარ გვაქვსო. არადა, მისმა ადვოკატმა არზა გამოაცხო, უანგაროდ ვემსახურებით ჩვენს მზესო. რა გამოდის, შალვა ხაჭაპურიძე ნთქავს ყველა ადვოკატის ჰონორარს? აბა, კი იტყოდა, რომ „ვივამედის“ მფლობელი მომგვრელი ჩანაწერი“ ყოფილა, — „ფანქლიანმა ნოდალიკომ“ (ნათლია რევაზ ამაშუკელი) გვითხრა. ცოტა უხერხული კი არის, მაგრამ ამ ნოდალიკოს ხელში კალამ-ფანქარი არცთუ სახარბიელო იდეებს აღძრავს მაყურებელში და ბარემ სქელტარიანი ფუნჯი ხომ არ დაეკავებინა ხელში?

რუსეთი ოკუპანტიაო, გაჰკივის ე.წ. რადიკალური ოპოზიცია და ხან რომელი მათგანი გვაწვდის შუაგული კრემლიდან ინფორმაციას და ხან — რომელი. ესენი სულ დაგიჟდნენ?

დედა-გიულის მხოლოდ ის აინტერესებს, რატომ გავრცელდა ეს ჩანაწერი მაინცდამაინც ახლა, როდესაც „მიხეილ ჩამოტყუებულის“ სასჯელის გადავადებაზე ან გათავისუფლებაზე მიდის „ჩალიჩი“.

დედიჯან, დროულია!

ტყუილად გაისარჯა მედოლე, დარია თუ ავდარია, მიშა კი არა, ვანო მაგარია, საკუთარ თავზე გადმოაწევინა „ბატი ტასიკოებს“ ისრები...

ახლა უარსაა დედა-გიული, არაო, არ მიბაასნიაო...

აბა, მე ვიბაასე? — ვიშ, გეთაყვათ, ასეთი ფიცი-მტკიცისა ვისა სჯერა?

დედა-გიული: „არანაირად არ ვადასტურებ! ასეთი ფაქტი არ ყოფილა... არ მაინტერესებს ეს საკითხი იმიტომ, რომ გამორიცხულია. მე რაც მოვისმინე ჟურნალისტებისგან, თურმე ნუ იტყვი და, ლამის რუსეთის აგენტები ვართ მე და ჩემი შვილი? უკაცრავად, რააა, იმიტომ ზის ეს აქ (მიხეილ სააკაშვილი) და იმიტომ შემოვარდნენ 2008-ში და მერე იმიტომ იმუქრებოდა პუტინი, რომ ერთი ადგილით დაჰკიდებს? რამდენადაც მითხრეს, ეს 2 წლის უკან მოხდა, ახლა რატომ გაახსენდათ? იმიტომ, რომ პროცესები მიდის და რომ ავნონ ახლა ჩემს შვილს? — აი, ამას ვუკავშირებ ახლა გამოქვეყნებას. არც მომისმენია (ჩანაწერი), არც მინდა, არც ყოფილა, არც შეიძლება ყოფილიყო ბუნებაში ასეთი რამე და გარდა ამისა, კიდევაც რომ ყოფილიყო, რატომ დღეს? გახარია საერთოდ აღარ




ახლავეო. დუღილი ზედმეტი მოუვიდა და რამდენიმეს გასძვრა პოლიეთილენი. ვაიმე, ზოგს გასძვრა და რატომო? — შეწუხდა თავადის ასული ბებო. ეგენი აღვირახსნილი სოსისები არიანო, — მიუგო შვილიშვილმა. — ეს ამბავი გამახსენდა)

ნოდალიკო ფანქლიანმა განაცხადა, არ შევალ უკანონოდ გავრცელებული ჩანაწერების შინაარსში, რომლის ავთენტურობაც დადგენილი არ არისო; ნუ შეხვალ ნოდალიკო, შეგიყვანენ თუ მოისურვეს და თან ღრმად...

ჩანაწერის გავრცელებამ გახარიასაც გაჰკრა მუჯლუგუნი და ახლა ისინი აჟივჟივდნენ, „ოცნება“ ჯერ ჩამოყალიბდეს, გახარია „კოკაინშიკია“, ამერიკის აგენტია თუ რუსეთისა, ყველა შემთხვევაში, ნაც-ქოცურ ჭაობში ჩართვას არ აპირებს ჩვენი პარტიაო. „ოცნებას“ რა აქვს ჩამოსაყალიბებელი, თვითონ იშვერენ ერთმანეთისკენ საჩვენებელ თითს. იიიი, დაგეწოთ პარტიაი!

ეს ჩვენი ჩამოტყუებული კი გაშოტილა „ვივამედში“ და „შპიგელთან“ ჩივის, მაწამებდნენ, აბა, რავარია, ათასობით სახიფათო კრიმინალის გარემოცვაში რომ ხარ გამოკეტილი, რომლებიც დღე და ღამე ყვირიან და იმუქრებიან, რომ მოგკლავენო? რადიოსღა ვუწევდი ხმას, რომ ნაწილობრივ მაინც გადამეფარა ეს ხმებიო; წამება არ არის, როდესაც წნევიანთან შუაღამეს ბადრაგი შემოდის მოსახრჩობად, ან ციხის საავადმყოფოში გცემენო?

არის რუსეთის მოქალაქე, პუტინთან დაახლოებული ოლიგარქიო.

იცის კარგმა ჰონორარმა შუბლის ძარღვის გაწყვეტაც და ენის აქავებაც, ისე გადაიგდებ მხარზე, ვარანს შეშურდება.

ასე იქნება ნამდვილად, როგორც ხაჭაპურიძე ამბობს, ამიტომ მიამსერეს მაინცდამაინც „ვივამედში“. მიკვირდა, რას ერჩის მედდებსა და ექთნებს-მეთქი და ძლივს გავიგე — ეგენი სულ რუსეთის აგენტები ყოფილან, იმიტომ ესვრის საკუთარ დაგორგოლავებულ ფეკალიებს მიშა ჩამოტყუებული. მიშას ხომ სიმბოლოებით საუბარი უყვარს და ასე ებაასება: „ჰაიტ, თქვე პუტინის ქაქებოო“. აბა, რა ქნას, როცა ფარდის უკან თურმე პუტინის სურათი აქვთ ჩამოკიდებული, დროდადრო გადაუწევენ ფარდას, დაანახვებენ იქედნურად მომზირალ პუტინს ვერა ბრეჟნევას სიმღერის ფონზე და თვითონ „კამარინსკაიას“ ცეკვას იწყებენ. ეგ რა არის, თურმე რუსულად ელაპარაკებიან და პუტინისსურათიანი ჯამ-ჭურჭელი აქვთ, იმიტომ არ გადასდის ჟანგიან ყრონტში საჭმელი. ზელენსკის გამოსახულებიანი ლოგინის თეთრეული რომ გამოსულა გაყიდვაში, პუტინს მაგრად შეშურებია, იატაკქვეშეთში საკუთარი გამოსახულებით გამოუშვია სამი ეგზემპლარი და ერთი მიშასთვის დასაფენად გამოუგზავნია „ვ პადარაკ, მოი დარაგოიო“.

13 გვ.

# „ნაცმოძრაობის“ დაშლა გარდაუვალია. ეს სხვა ოპოზიციურ ძალებს გააძლიერებს



*გვესაუბრება „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი, თბილისის საკრებულოს წევრი ლადო ბოჭაძე:*

**— ბატონო ლადო, როგორც ცნობილია, 2024 წლის არჩევნები ელექტრონული წესით ჩატარდება. საზოგადოებას აინტერესებს, როგორ წარიმართება ეს პროცედურა?**

— 2024 წელს საპარლამენტო არჩევნები მთლიანად პროპორციული სისტემით ჩატარდება. პარტიული სიებით 150 მანდატია განსაზღვრული, მაჟორიტარული სისტემა უქმდება. მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველი მხოლოდ ერთ ბიულეტენს შეავსებს. კონსტიტუციით განსაზღვრულია 5%-იანი საარჩევნო ბარიერი. თუმცა, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ცვლილება, რომელიც მომდევნო ორი არჩევნების ჩატარებას დაბალი საარჩევნო ბარიერით — 2%-ით ითვალისწინებს. 2023-2024 წლებში პარლამენტი ამ საკითხზე მსჯელობას გააგრძელებს. რაც შეეხება არჩევნების ელექტრონული წესით ჩატარებას, ეს, პირველ რიგში, საარჩევნო უბნების რაოდენობის გაზრდას გამოიწვევს. ანუ, შესაძლოა, სიაში სამი ათასამდე ამომრჩეველი იყოს რეგისტრირებული. სპეციალური ელექტრონული აპარატით მოხდება როგორც ID ბარათით, ასევე საზღვარგარეთის პასპორტით ან ძველი პირადობის მოწმობით ამომრჩევლის იდენტიფიცირება. ადრე ამას რეგისტრატორი აკეთებდა, ისვე გამოწერდა ბიულეტენს და ა.შ. ანუ, ეს პროცედურა პიროვნებაზე აღარ არის დამოკიდებული და სამაგიდო სიასა და პირადობის მოწმობაში არსებული ფოტოების დადარება საჭირო აღარ იქნება. ეს შეამცირებს საარჩევნო პროცედურების ხანგრძლივობას. საარჩევნო უბნებს საშუალება ექნებათ, უფრო მეტი ამომრჩეველი გაატარონ, ვიდრე აქამდე არსებული სისტემით იყო შესაძლებელი. ხმის მიცემა იგივე წესით მოხდება, ოღონდ, ამომრჩეველი სპეციალური კალმით გააფერადებს ბიულეტენზე მითითებულ მონიშნულ ადგილს, რაც სკანერს დაეხმარება, მის მიერ გაკეთებული არჩევანის წაკითხვაში. ბიულეტენები სპეციალურ ჩარჩო-ფორმაში ჩაიდება და სკანერ-აპარატს მიეწოდება. საარჩევნო ყუთიც აღარ იქნება ისეთი ნიმუშის, როგორიც აქამდე. ორივე ელექტრონული ხელსაწყო უზრუნველყოფს ამომრჩევლის უსაფრთხოებასაც, დროის შემცირებასაც, რაც საშუალებას იძლევა, უბნები გავაერთიანოთ და საარჩევნო კომისიების რაოდენობაც შემცირდეს. რაც ყველაზე მთავარია, სპეციალური ელექტროაპარატის მეშვეობით, კენჭისყრის პროცედურების დასრულებიდან 15-20 წუთში, არჩევნების არამხოლოდ წინასწარი, არამედ საბოლოო შედეგებიც გვექნება. დიახ, გარკვეული პროცედურების შემდეგ სპეციალური აპარატი გვეტყვის: რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, რამდენი ბიულეტენი იყო ბათილი, ვინ რამდენი ხმა მიიღო და ა.შ. შესაბამისად, კონვერტი საჭირო აღარ იქნება. ელექტრონულ სისტემას ძალიან კარგი შედეგი აქვს შემდეგი თვალსაზრისითაც — გამორიცხავს ე.წ. კარუსელებს, რაზეც ოპოზიცია ხშირად აპელირებდა. გარდა ამისა, ამ მეთოდით არჩევნების ჩატარების შემდეგ, ოპოზიცია წინასწარი საზოგადოებრივი



კვლევების შედეგების გამოშვეურებით ვეღარ იტყვის: თითქოსდა არჩევნები გაყალბდა. ასევე, რიგი მედიასაშუალებები ე.წ. ეგზიტპოლების შედეგებით, რაც მთელი დღის განმავლობაში ტარდებოდა, ვეღარ იმანიპულირებენ — ამა და ამ კანდიდატს მეტი ხმა ჰქონდა და ცესკოს მონაცემებით ნაკლები რატომ აქვსო! ყველას გვახსოვს ხმების პარალელური დათვლა, რაც „სამართლიანმა არჩევნებმა“ გააყალბა. 2020 წელს ოპოზიცია პარლამენტში აღარ შედიოდა. ეს პროცესი ლამის წელიწადი გაგრძელდა. ბოიკოტის საფუძველი სწორედ პარალელური დათვლა იყო, რასაც ოპოზიცია ეყრდნობოდა. ამ ტიპის პრობლემებს ელექტრონული ხმის მიცემა გამორიცხავს. ვფიქრობ, მოსახლეობას ყველანაირი პირობა ექნება, რათა 2024 წელს საკუთარი არჩევანი დააფიქსიროს.

**— რა იცვლება თავად ამომრჩევლისთვის?**

— ფაქტობრივად, არაფერი. ცესკო, პოლიტიკური პარტიები საინფორმაციო კამპანიას ჩაატარებენ, რათა ამომრჩევლებს აუხსნან: როგორ გაიარონ რეგისტრაცია, მისცენ ხმა და ა.შ. უბანზე მისული ამომრჩეველი საკუთარ დროს დაზოგავს, რიგში დგომა საჭირო აღარ იქნება. რაც მთავარია, ორივე ელექტრონული აპარატი უსაფრთხოა, გამორიცხავს ჩარევებს და გარკვეულ მანიპულაციებს. ორივე სისტემა დაცულია. არჩევნებისადმი ნდობა კიდევ უფრო ამაღლდება.

აქამდე, კანონმდებლობის თანახმად, სიაში 1500-ზე მეტი ამომრჩეველი არ უნდა ყოფილიყო, რადგან პროცედურებს ბევრი დრო მიჰქონდა. ახლა, დროის შემცირებასთან ერთად, კომისიის წევრები გაცილებით მეტი ამომრჩევლის მიღებას შეძლებენ. საარჩევნო კომისიები ყველა ნიუანსს გაითვალისწინებენ — შესაძლოა, შეიცვალოს უბნის საზღვრები, ნუმერაცია, თუმცა, ამაზე საარჩევნო ადმინისტრაცია სპეციალურ კამპანიებს დაგეგმავს.

**— საარჩევნო უბნები თუ გაერთიანდა, ამდენი კომისიის წევრიც, ალბათ, საჭირო აღარ იქნება?**

— თავისთავად, ორ უბანს ერთი საარჩევნო კომისია მოემსახურება, თან, კომისიის წევრთა რაოდენობა (17) იგივე დარჩება, კომისიების ოდენობა კი, სავარაუდოდ, 30-35%-ით შემცირდება. უბნების გაერთიანება ყველგან ავტომატურად ვერ მოხერხდება. მაგალითად, ზოგან ერთ სოფელში 200-300 ამომრჩეველია და სხვა საარჩევნო უბანზე მისი მიერთება გონივრული არ იქნება. დიდ სოფლებში კი, სადაც ორი საარჩევნო უბანი იყო, მათი გაერთიანება მოხდება. ამომრჩეველს არავითარი პრობლემა არ შეექმნება.

**— კომისიის წევრებისგან ხშირად მსმენია, რომ დიდი შრომა და დაბალი ანაზღაურება აქვთ. ამ მხრივ თუ არის ცვლილება მოსალოდნელი?**

— კომისიის წევრებს სამუშაო შეუმცირდებათ, რადგან, რასაც აქამდე ხელით, ფიზიკურად აკეთებდნენ, ამას ელექტრონული იდენტიფიცირების აპარატი ჩაანაცვლებს. როგორც აღვნიშნე, იცვლება საუბნო საარჩევნო კომისიების და არა წევრთა რაოდენობა. ამიტომ, გამოთავისუფლებული თანხები საშუალებას მოგვცემს, ხელფასები გაიზარდოს. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ კომისიის წევრებს, დამკვირვებლებს სამუშაო პირობები და ანაზღაურება გაუუმჯობესდეთ.

**— ორპროცენტიანი ბარიერის დაწესება რას შეცვლის?**

— იცით, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 1%-იანი საარჩევნო ბარიერით ჩატარდა. ჯამში, ბარიერი ცხრა სუბიექტმა გადალახა, მათ შორის, 2%-იანიც. თუ 5%-იანი ბარიერი დარჩება, მის გადალახვას მხოლოდ „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ შეძლებენ. სწორედ ამიტომ არის საპარლამენტო არჩევნებზე ბარიერის დაწევის მცდელობა, რათა პარლამენტში შესვლა ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ შეძლოს. მრავალპარტიულობა ამომრჩევლის ინტერესშიცაა. საპარლამენტო მოდელის, ქვეყნის განვითარების კუთხით მრავალპარტიული პარლამენტი მნიშვნელოვანია.

**— ამჯერად რიგგარეშე არჩევნები „ნაცმოძრაობაში“ ჩატარდა. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?**

— რა გითხრათ, ამ არჩევნებს თავად „ნაცმოძრაობის“ კანდიდატები უნდობლობას უცხადებდნენ. მათ არჩევნების გაყალბება სისხლში აქვთ გამჯდარი, რასაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს მუდმივად აკეთებდნენ. შიდაპარტიულმა არჩევნებმა, საარჩევნო კამპანიამ საზოგადოებას კარგად დაანახა, თუ რა პოლიტიკურ ძალასთან გვაქვს საქმე. ნაცები ერთმანეთს ფარული ჩანაწერებით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნებით ემუქრებიან, ერთმანეთს ლანძღავენ, შეურაცხყოფენ, ფიზიკურ დაპირისპირებასაც კი აქვს ადგილი. ეს „ნაციონალური მოძრაობის“ რეალური სახეა. არჩევნები ბლოკჩეინის ე.წ. ელექტრონული წესით ჩატარდა. ზოგმა კანდიდატმა წინასწარ დააანონსა, რომ ამ პროცესს არ ენდობა. განსხვავებით იმ სისტემისგან, რითაც 2024 წლის არჩევნები ჩატარდება, ბლოკჩეინი გარე ჩარევებისგან დაცული მაინც არ არის. ის კიბერშეტევის გარკვეულ რისკებს შეიცავს.

## „ქაჯეთის ციხეში“ შევარდნას ხაზეიშვილი ბორკილებით დაასრულებს

თავმჯდომარე ხაზეიშვილი გახდა, თუმცა ეს ბევრს არაფერს ცვლის. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება. დანარჩენ სამ კანდიდატს პარტიიდან გასვლა და თავისი მომხრეების პოლიტიკური პროცესიდან გაყვანა მოუწევს. გამოაშკარავდა, რომ რეალურად ამ პარტიას ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი მართავენ, რომლებიც აქამდე ჩრდილში იყვნენ. რაც შეეხება კეზერაშვილს, სამივე ინსტანციის სასამართლომ დაასაბუთა, რომ მან ქართულ ჯარს მილიონები მოპარა. სწორედ ამ მოპარული ფულით დააფინანსა ხაზეიშვილის საარჩევნო კამპანია. მანამდე ნიკა მელიასთვის მანქანა უჩუქებია. ეს კანონის დარღვევაზე მიუთითებს — „ნაცმოძრაობაში“ მანამდეც და ახლაც შავი, არალეგალური ფული ტრიალებდა. მათი რეალური სახე კიდევ ერთხელ გამოჩნდა. დაპირისპირება შემდგომშიც გაგრძელდება, რაც ნაცებს კიდევ უფრო დაასუსტებს. ეს კარგია თავად ქართული დემოკრატიისთვის და ოპოზიციური სპექტრისთვის. რეალურად, „ნაცმოძრაობა“ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების განვითარებას აფერხებს. შიდაპარტიული არჩევნების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ დაშლა გარდაუვალია, რაც, ვიმეორებ, სხვა პოლიტიკური პარტიების გაძლიერებას და დამოუკიდებლად განვითარებას შეუწყობს ხელს. საარჩევნო სისტემით განსაზღვრულია, რომ საარჩევნო ბლოკები აღარ შეიქმნება. პოლიტიკურ პარტიებს ამომრჩევლის წინაშე დამოუკიდებლად, ერთპარტიულ რეჟიმში მოუწევთ წარდგომა.

13 გვ. →

# ნანული ქორქოლიანი: „...ჩემი გმირი გიწოდე...“

ფულმა „ნაციონალური მოძრაობის“ ჯოჯოხეთიც გაანათა. დღეს ჭორაობენ, ხვალ იმსჯელებენ და ზეგ, ალბათ, უკვე ყველას გვეცოდინება, რატომ და რა ვითარებაში დაიშალა „ნაცმო“. თუმცა, ჯერ ადრეა დაშლა-არმოშლაზე საუბარი. დღეს მხოლოდ ის ვიცით, რასაც „ქოცები“ „ნაციონალებს“ „უწინასწარმეტყველებენ“ - პარტია დაიშლება.

დიახ, როგორც ამბობენ, პარტია დაიშლება, როგორც ამბობენ, ბევრი ფულის „ხათრითო“. კულუარებში თამამად აცხადებენ, რომ „მთავარი ოპოზიციური პარტიის დაშლის საქმეში „იმან“ 50 მილიონზე მეტი ჩადო“. ეს „იმანო“ ვინაა, კი სახელდება, მაგრამ მოდით, „იმანოს“ გაცხადების ამბავი დროს მივანდოთ. ფაქტია ერთი: მალე მთავარი ოპოზიციური პარტია, რომელიც, სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ სახემ მონათლა მთავრადაც და უმთავრესადაც, მარტივ მამრავლებად დაიშლება. როგორც ვარაუდობენ, 2024 წლისთვის ქართულ პოლიტიკას „მოელანდებიან“ „ნაცასკოლკები“ „განახლებული“ პარტიით, იქნება კოალიციური მთავრობა, არჩევნებს ჩაიბარებს ირაკლი



ღარიბაშვილი, არჩევნების შემდეგ კი პრემიერი თეა წულუკიანი გახდება. პარლამენტში იქნებიან „დაშლილებში ჩაბარებული“ ნაცმოძრაობა, „ოცნება“ და მათი განაყოფები, გახარიას პარტია, გირჩი და ა.შ. მოკლედ, აჯაფსანდალს კი მივიღებთ, მაგრამ, სამაგიეროდ, „არ იქნება ბუნტი“ და ყველა კმაყოფილი დარჩება.

მანამდე კი...

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ათი წელი გვემუქრებოდნენ გადატრიალებით და მეთერთმეტე წელს თვითონ ამოყირავდნენ. „ერთ მუშტად“ შეკრული ხროვა მარტივ მამრავლებად დაიშალა. ჯერჯერობით ერთმანეთის მხილებით,ლანძღვა-გინებით არიან დაკავებულები, მაგრამ მალე მუშტი-კრივზეც გადავლენ. მათი ბელადი მომავალს მხოლოდ უკრაინაში ხედავს, ზელენსკის გვერდით და აშკარად ნანობს საქართველოში კონტეინერით დაბრუნებას. თან ეჭვობს, რომ ქვეყნის „გადამრჩენელის“ რანგში გადატრიალების მოწყობის მიზნით მისი საქართველოში დაბრუნება რუსული სპეცსამსახურების დაკვეთით მოხდა.

ნაცლიდერების ნაწილი, მათ შორის, „დიდი პოლიტიკოსი“ ნანუკა ჟორჟოლიანი სააკაშვილის ეჭვის კომენტირებისას მიიჩნევს, რომ ბელადი მერაბიშვილზე მიანიშნებს. სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილება პოლიტიკურად, ადამიანურად და მორალურად ყველაზე სწორ ნაბიჯად მიაჩნია. განსხვავებული მოსაზრება აქვს დავით კირკიტაძეს და სოცილურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს: „დიდი ბოდიში, მაგრამ, თქვენი დღშ ყველასი ვინც პირდაპირ/ ირიბათ გენერალ ლორთქიფანიძეს და მერე ვანო მერაბიშვილს ცილს წამებდით. თქვე ქოცებზე უარესებო! ტყუილს მოკლე ფეხები აქვს!“

ნანუკიე მაქსიმლალურად ცდილობს კეზერას გათეთრებას და ვანოს გაშავებას: „თქვენ როგორ გგონიათ, მიშას აქციებში კეზერაშვილი ფინანსური მხარდამჭერი არ იყო?“ ნანულის მიერ კეზერას გათეთრების მცდელობას თამარ ჩერგოლეიშვილი სოციალური ქსელში ასე პასუხობს: „ასეთ ბოსელში ვიმყოფებით, ქალბატონებო და ჯენტლმენებო. ძროხები ზმუიან ადამიანების სახელით.“ მანამდე, ნანულის სატელევიზიო ინტერვიუს ჩერგოლეიშვილმა უფრო „სერიოზული“ პოსტი მიუძღვნა: „კეზერაშვილს ურჩევნია ეს კალოშისპირა ქაჯი დაადუმოს და აუხსნას, რომ პოლიტიკაშიც ჩემი რეკომენდაციით შემოეთრა (სამწუხაროდ) და ქართულ ციხესაც ჩვენი დახმარებით არ ხეხავს (ორჯერ) და ჩვენი ვალიდან ვერ ამოვა მთელი ცხოვრება. ჩუმად ეგდონ - მათ ინტერესებშია“. დიახ, კრიმინალებთან „მებრძოლი“ კრიმინალი გენერლის სამხრეებით დამშვენებული ერეკლე კოდუას ყოფილს, „თეთრი მტრედს“ - შავი გულით და შავი ფრთებით, თამარმა კრიმინალური წარსული შეახსენა, ორჯერ ციხეს ჩვენი დახმარებით გადაურჩიო. თუმცა, ორჯერ კი არა, ოცჯერ უნდა ეხეხა ციხე ნანულის... სხვათა შორის, „ვარდების ლივლივის“ დასაწყისში მისი გულისსწორის, ერეკლეს დავალებით მოხდა კეზერას დამუშავება, არსებობდა ვიდეო და აუდიომასალა, კეზერა მეგობრებთან ერთად როგორ იღებდა და „იჩხირავდა“. რაღაც ეტაპზე კოდუას გაჩერება უბრძანეს და იმ თანამშრომლის გაგდება მოინდომა, რომელსაც დავალება მისცა. უსამართლოდ დასჯილი თანამშრომელი დაუკავშირდა კობა დავითაშვილს და ტელევიზიით გაახმოვანა ოფიციალურად მოპოვებული მასალა.

სარწმუნო წყაროს ცნობით, დიდი ხანი უმტკიცებდნენ კოდუა და ნანული კეზერას ერთგულებას, თუმცა მას სიმართლე გარკვეული ჰქონდა და, ალბათ, ნაკლებად ენდობა კოდუას და ნანულის...

ნანული დიდხანს ცდილობდა „იმ“თანამშრომლის გაშავებას, ასევე ვალერი გელაშვილის დისკრედიტაციას. გელაშვილის „დასჯა“ მიშამ გადაწყვიტა, ვანომ დაგეგმა და კოდუამ შეასრულა. სწორედ კოდუას დავალებითა და სოდ-ის სამმართველოს უფროსის გიორგი სირაძის ხელმძღვანელობით გაუსწორდნენ გელაშვილს, რის შედეგადაც მან სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო. ტურფა ნანულისთან განხორციელებული ზარის გამო, გარეწარმა კოდუამ სვანეთში უდანაშაულო ბიჭები დააკავა, ნარკოტიკი ჩაუდო, ძალით გაუკეთა და დააკავა! ნუ, „ბარიგა“ დედამისმა ლაურამ რამდენი ბიზნესმენი გაამწარა და ქონება შვილის დახმარებით აახია, ვინ მოთვლის. უსამართლობასთან „მებრძოლ“, სისხლის სუნზე დაგეშილ ნანულის და მის დამფინანსებლებს თუ დამცველებს, პოლიციელების მიერ ჩახოცილი და მერე კრიმინალებად მონათლული ბუტა, სანდრო, გამცემლიძე, შვილი ვაზაგაშვილი და მის საფლავზე დაკლული მამა და ასობით უდანაშაულო, საჯიშე ახალგაზრდა არც ემახსოვრებათ, რადგან მაშინ მათთვის „სამართლიანობის“ აჩრდილი დაჰქროდა. არადა, სწორედ უსამართლოდ ჩახოცილი, ციხეში ნაწამები, მოკლული პატიმრების აჩრდილები დაჰყვებიან ნაცჯალათებს და სიცოცხლეს ჯოჯოხეთად უქცევენ.

რაც „ნაცმოძრაობაში“ ხდება, ჯერ ჟურნალია. კინო აწი დაიწყება... ქმარყოფილზე წლების წინ ნანული წერდა: „ხშირად მიფიქრია არა ჩემს მეუღლეზე, არამედ გენერალ კოდუაზე. რატომ არავის არ ახსენდებოდა ის. ვფიქრობდი, ან იმ ღირებულებების ტიპად არ თვლიდნენ, ან “არ უფასებდნენ” არც ომის წინა ხაზზე დგომას, არც კრიმინალთან ბძოლას... დღეს, როდესაც გავიგე, რომ თითქმის ორწლიანი წვალების შემდეგ (საგამოძიებო



სამსახურების) ერეკლე კოდუას, გენერალს, 7 წლის განმავლობაში სოდ-ის უფროსს და ამ სამსახურის შემქმნელს, საქმე აღუძრეს რაღაც გაურკვეველ ავტომანქანებზე, დავმშვიდდი. მივხვდი, რომ კრიმინალსაც ებრძოდა, ომშიც წინა ხაზზე იყო და ღირებულებებშიც იმ მხარეს დგას, სადაც უნდა იდგეს!” მაგრამ ყველაფერი გაფერმკრთალდა, როდესაც ნანუკამ თავისი “წმინდანი” არაქართული წარმოშობის კონკურენტთან ერთად იხილა...

არაფერია გასაკვირი იმ უტიფარი ქალისგან, რომელსაც სინანულის გრძნობა არ გააჩნია და დღემდე ცდილობს, საზოგადოებას თვალებში ნაცარი შეაყაროს. ან რა უნდა გაგვიკვირდეს მისგან, როცა არც თავად ჩამორჩებოდა აწ უკვე ქმარყოფილს. იმ დროს, როცა „გენერალი“ თურმე კრიმინალს ებრძოდა, პარალელურად, ქურდის მეჯვარეც იყო! როგორ მოახერხა ეს „გმირთაგმირმა“, არ ვიცი, მაგრამ დავიჯეროთ, ქორწილის ფოტოები ნანულის არ უნახავს? ვერ დავიჯერებ! აი, ჩემს მეგობრებს ნანახი აქვთ და სწორედ მათგან მაქვს ზუსტი ინფორმაცია, „გენერალი“ ქურდებთან ერთად ნარკოტიკსაც რომ ეტანებოდა. ისიც ზუსტად ვიცი, ერთ „კოჭლ“ ქურდთან ერთად ვარდების რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე კოდუას „ბრატი“ ქურდი ჩემმა ნაცნობებმა რომ დააკავეს გორიდან მომავალი და დიდი ვაჭრობის შემდეგ 8000 ამერიკულ დოლარად რომ გაუშვეს. საჭირო თანხა საჭირო კაცს კოდუამ თავად ჩაუცუნცულა ქურდის „გამოსახსნელად“. ვარდების რევოლუციის შემდეგ, მართალია, ის თანამშრომლები „ჩაჩორტა“ და შსს -ს აღარ გააკარა, მაგრამ არცერთი არ დაკარგულა... მეჯვარეობისა არ იყოს, ისიც საკითხავია, როგორ ახერხებდა კოდუა ერთი ხელით იმათთან მეგობრობას, ვისაც „ებრძოდა“ და მეორე ხელით “ნაცზონდერებთან” ერთად ცეცხლითა და მახვილით ვარდების რევოლუციის მონაპოვარის დაცვას?! დავიჯეროთ, „იქ“, „ზემოთ“ არ იცოდნენ, როგორი „გმირი“ ჰყავდათ „უბანში“? იცოდნენ, იცოდნენ და აწყობდათ კიდეც! ამიტომ იყო, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს თავის გარეწარ თანამშრომლებთან ერთად სისასტიკით და დაუნდობელი ქმედებით გაუსწორდა მიტინგეებს, ერთგულება დაუმტკიცა „ნაცმოს“. ერეკლეს ნარკობიზნესი ნაცელიტამ ნარკოტიკის სიყვარულის გამო ჩააბარა, ალბათ, ბოლოს და ბოლოს, ოჯახური გამოცდილება არ უწყობდა ხელს თუ რა? ნაცხროვა პრეზიდენტის მეთაურობით მხოლოდ ძლიერ და ძვირადღირებულ ნარკოტიკს ეტანებოდა და შემოტანა ვინც იცოდა და გაყოფაც, სწორედ ის სჭირდებოდათ საქმეში. ამიტომ იყო, რომ „გასოდებულ“ ერეკლეს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მისდამი დაქვემდებარებულ უწყებაში ზოგი ნარკოტიკის რეალიზაციით იყო დაკავებული და ზოგიც - „კაიფით“. როგორც ამბობენ, ვიღაცას „ყელში ამოსვლია“ კოდუას საქმეები და გენერალურ ინსპექციას ჰქონია მცდელობა, „მოკაიფე“ თანამშრომლები დაესაჯათ, მაგრამ მაშინ ვანოსთან ტკბილი და მურაბა ურთიერთობა ჰქონდა კოდუას და საქმეც გვარდებოდა. წლების შემდეგ, როცა ვანოსთან ურთიერთობა დაეძაბა, თავის მეგობარს და მარჯვენა ხელს დავით ჟვანიას (რომელიც ლონდონში ახლდა), ვერ დაეხმარა და ორგანოდანაც გაუგდეს. იმანაც ვერ გადაიტანა ეს შეურაცხყოფა, ამაგი რომ არ დაუფასეს და, ეტყობა, ბევრი „გაიჩხირა“ და „პერედოზით“ გარდაიცვალა. თუმცა, ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ სწორედ კოდუა „დაეხმარა“ ჟვანიას სიკვდილში, რადგან ბევრი რამე იცოდა და ემუქრებოდაო... როცა პრეზიდენტი მძიმე ნარკოტიკს მოიხმარს და არაადეკვატურად იქცევა, „სოდის“ უფროსიც თავისნაირი სჭირდება. ასე „იბრძოდა“ ვარდების ხელისუფლება ნარკოტიკების წინაამდეგ! ნანული კი იმ „ხანაში“კოდუას მესაიდუმლე და თანამზრახველიც გახლდათ...

„ახეული მანქანების“ საქმე ნარკოტიკით უდანაშაულო ბიჭების დაკავებასთან ერთად, თავის დროზე სუბარმა გამოიტანა სააშკარაოზე და ერთი „გაურკვევლი“ მანქანის საჭეს ნანული ძლივს „აახიეს“. თუმცა, უტიფრად ამტკიცებდა, კანონიერი გზით შევიძინეო. წამებულების და გმირის იმიჯის შესაქმნელად უნიჭო სცენებს არ იშურებდა ნაცხროვა, კოდუას „დაუკვეთეს“ გია გვიჩიანის უმძიმესი ბრალდებით დაკავებაც. კოდუას სული, დიდი ხანია, ჯოჯოხეთშია, მაგრამ,მის ოჯახს მა-

ინც მოეკითხება ამდენი უდანაშაულო ადამიანის წამება.

აღსანიშნავია „მუხროვანის ამბოხის საქმეც“, სადაც ვანო ორ გვამს უკვეთავს. კრიალაშვილის და მისი მეგობრების მოცილება და სამაგალითოდ დასჯა სერიოზულ სახელისუფლო მაფიას სურდა, რადგან ათეულობით მილიონი დოლარი ფიგურირებდა და არაფერი ჰქონდა საერთო სამხედრო ამბოხთან. რაღა თქმა უნდა, პროკურატურისთვის ცნობილი იყო მიზეზი, მაგრამ მთავარი გველეშაპი, ადეიშვილი არ იყო დაინტერესებული, სიმართლე გარკვეულიყო.

ბესო კეიდიამ ამხილა ნანულის „გმირის“ „ბოზური“ „მოღვაწეობა“: „ერეკლე კოდუა ბადრის ინფორმატორი იყო. მისნაირები ბევრი ჰყავდა სააკაშვილის ხელისუფლებაში, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე „ნაციონალურ მოძრაობაში”. ისინი და, მათთან ერთად, ცხადია, კოდუაც, სისტემატურად აწვდიდნენ ცნობებს მნიშვნელოვანი პროცესებისა და საინტერესო ფაქტების შესახებ. ამან რაღაცნაირად გაჟონა და ამიტომ იყო, კოდუას თავისმა ხელმძღვანელებმა ეჭვის თვალით რომ შეხედეს და მის ლოიალობაში დასარწმუნებლად ბადრისთან დაკავშირებული საეჭვო ოპერაციის განხორციელება მაინცდამაინც მას დაავალეს. დავალებაზე ლონდონში ნანულიც ახლდა... კოდუამ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ბადრი პატარკაციშვილმა ვანო მერაბიშვილის და გოგა ხაინდრავას მკვლელობა შეუკვეთა. შემდეგუკვე ვანო უკვეთავდა დიდი პრემიის სანაცვლოდ ორ გვამს. რა ხდება, ამ „პატიოსან“ კაცს როგორ უბედავენ ქილერის როლის შეთავსებას, იქნებ, მის სინდისზე, რომელიც არ გააჩნია, არაერთი გვამია და საზოგადოებისთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის?ამავე ინტერვიუში „გენერალმა“ ისეთ „სტრატეგიაზე“ ისაუბრა, დღემდე ანეკდოტად რომ დადის: „მე მაშინ პალტო მეცვა. პალტოში რკინის “ბულავკები” გავიკეთეთ – ამას რომ ეყვირა, როცა აპარატი იყვირებდა. დაიწყეს შემოწმება... ერთი ბულავკა, ორი ბულავკა, სამი... რომ შეწუხდნენ ამით და ბოლოს ტუფლზე რომ ჩავიდნენ, იქაც რკინა იყო, რაც გარედან ჩანდა. აპირებდნენ, რომ აპარატს ხმა არ ამოეღო და ფეხსაცმელი გამეხადა, რაზეც ვუთხარი, რომ შეხვედრა პატარკაციშვილის ინიციატივა იყო და წავიდოდი, რადგან ფეხსაცმლის გახდა შეურაცხმყოფელი იყო“. აი, ასეთი იყო ეს „დაუფასებელი“ „გმირი“. ეტყობა, ეს „სტრატეგია“ მხოლოდ პატარკაციშვილთან გამოიყენა და გამოადგა, თორემ თელიას და მის მამას, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა და დიდი ხნის შემდეგ გარდაცვლილი ნახეს ნაწამები, ან უამრავ პოტენციურ მოწინააღმდეგეს, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან დღემდე, „ბულავკებით“ არ დასდევდა, იქ საკმაოდ „კარგი“ კვალი დატოვა.

თუ ვინმე იტყვის, რატომ არ მოსთხოვეს მას პასუხი, აქვე ვიტყვი, რაც პროკურატურაში ძალიან კარგად იციან ყველაფერი, რაშიც არჩილ კბილაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის. სწორედ მის დროს გარიგდნენ „ძველი“ და „ახალი“ პროკურორები, სწორედ მისი „გულმოწყალების“ „პირველი აგურია“ პროკურორებს შორის ე.წ. ჯენტლმენური გარიგება, რითაც „დადგინდა“, რომ ნაციონალებისათვის საჭირო საქმეებს „ახლები“ ხელს არ ახლებდნენ. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეს რეალობაა...

დაბოლოს, ურმით მოსიარულე სამართალი ნანუკასაც მიუკაკუნებს. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ორჯერ თუ ჩერგოლეიშვილმა იხსნა, სხვა „მხსნელებიც“ გამოჩნდებიან, რომლებიც ისეთ დანაშაულში ამხელენ, რომელი საქმის ხანდაზმულობაც არ იქნება გასული...

**ქეთევან ზარნაძე**



# „ქაჯეთის ციხეში“ შევარდნას ხაბეიშვილი ბორკილებით დაასრულებს

← 11 გვ.

კეზერაშვილ-მერაბიშვილისთვის მნიშვნელოვანია ვინ იქნება 2024 წლისთვის პარტიის თავმჯდომარე, ვინ შეადგენს საპარლამენტო სიას და, რაც მთავარია, ვინ შეასრულებს ყოველგვარი შეკითხვებისა და დაბრკოლებების გარეშე მათ დავალებებს. სწორედ ასეთი ფიგურაა ხაბეიშვილი. იგი მერაბიშვილის და კეზერაშვილის მორჩილი იქნება, რასაც მელია არასდროს გააკეთებს. რაც მთავარია, მათ სურთ, ხელახლა გაიმეორონ სცენარი, რომელიც 2020 წელს ვერ განახორციელეს: არჩევნების გაყალბების მოტივით გამოსვლების მოწყობა, პოლარიზების გაღრმავება, რევოლუციური მუხტის შექმნა, რაც სააკაშვილს უნდოდა. ეს იყო მისი საქართველოში შემოპარვის მთავარი ამოცანა და, შედეგად, საქართველოს ჩართვა რუსეთ-უკრაინის ომში. ქვეყნის შიგნით და გარეთაც დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველოში არ იყოს სტაბილურობა, მშვიდობა და პროცესი მათი ინტერესების გათვალისწინებით წარიმართოს. ხელისუფლება ამას არ დაუშვებს. ყველა კანონდარღვევაზე ადეკვატური რეაგირება მოხდება.

ის, რომ ხაბეიშვილი ცდილობდა, სააკაშვილის სიყვარულში სხვა დანარჩენისთვის ეჯობნა, ეს მისი საარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო. იგი რადიკალურად განწყობილ ამომრჩეველზე მუშაობს, საუბრობს დესტრუქციაზე, კანონის დარღვევაზე, რევოლუციურ სცენარზე. ნაცებმა ხომ კარგად იციან, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ მოვლენ. ამიტომ მუდმივად არეულობაზე, ქაოსზე, დესტაბილიზაციაზე საუბრობენ. ყველამ ვიცით, რა „სიკეთე“ მოუტანეს ნაცებმა ქართულ სახელმწიფოს ხელისუფლებაში ყოფნისას. ამიტომ ქართველი ხალხი არჩევნების გზით მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას არ დაუშვებს. ეს კარგად გამოჩნდა 2012 წლიდან მოყოლებული, ყველა ჩატარებულ არჩევნებში. ხელისუფლების დასაბრუნებლად რჩება დესტრუქცია. ქართველმა ხალხმა ხელისუფლებას ყველაზე მნიშვნელოვანი რამ დაავალა — მშვიდობის შენარჩუნება, განსაკუთრებით, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. ეს გამოწვევა 2023 წელსაც გაგრძელდება, ვიდრე ომი არ დასრულდება. ჩვენ, პარტნიორებთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოში მშვიდობა, სტაბილურობა შენარჩუნდეს, რასაც რადიკალური ოპოზიცია მუდმივად საფრთხეს უქმნის. ქართველი ხალხი ქაოსს, დესტაბილიზაციას არ დაუშვებს. წელს დედაქალაქს, ქვეყანას უპრეცედენტო ბიუჯეტი აქვს, რაც მოქალაქეების ინტერესების დაცვას მოხმარდება.

**— წესით, ნაცებზე, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, არც უნდა ვსაუბრობდეთ. ადრე კობახიძემ თქვა: ნაცები პოლიტიკური ველიდან უნდა გავიყვანოთო...**

— „ნაცმოძრაობის“ მოღვაწეობას სამართლებრივი შეფასება უკვე აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მათი ლიდერი სასჯელს იხდის. მერაბიშვილმაც აგო პასუხი ჩადენილ დანაშაულზე, ნაცების უმეტესობა უცხო ქვეყნებში გაექცა ქართულ მართლმსაჯულებას. თუ თავად პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ რეჟიმად შევაფასებთ და პოლიტიკურ საქმიანობას ავუკრძალავთ, ის სხვა ორგანიზაციას შექმნის და პოლიტიკურ მოღვაწეობას მაინც გააგრძელებს. მათი მთავარი პოლიტიკური და სამართლებრივი განაჩენი არის ის შედეგი, რაც ბოლო 10-12 წელია არჩევნებზე დგება — ეს არის მათი გარდაუვალი მარცხი.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მიხეილ (მიშა) ჩამოტყუებული

← 10 გვ.

პალტოიანი ხაბეიშვილი ახალი კბილებით იქადნება: თუ საჭირო გახდა, სააკაშვილს ფიზიკურად გამოვიხსნიო — ტოჟე მნე ოტტო სკორცენ!

შენა, პალტოიანო ახალკბილებავ, როდის ჩათვლი საჭიროდ მიშას გამოხსნას, ჯერ ადრეა თუ სულაც ვეღარ ხედავ საჭიროებას? — შენ ღირსი ხარ გამარჯვებისა, გვაცინებ მაინც!

„ტელეგრამის“ ლამის ყველა არხზე გამოდეს, მიხეილ სააკაშვილი მართლა გიჟიაო. გაგიჟდება, აბა, რა მოუვა, როცა ეს აქ გიჟობანას თამაშობს, უკრაინაში მილიარდებს „ჭრიან“. ეს კიდევ მოქესტეს, „ლაფატკაზე“ დადეს და არაჟნის კონტეინერში ჩადეს განუბაჟებელ ტვირთად.

„შპიგელს“ გაენდო, თუ ცოცხალი დავრჩი, ჩემს მომავალს უკრაინაში ვხედავ ზელენსკისთან ერთად და მისი ხელმძღვანელობითო. ჰოდა, ახლა ფიქრობს, რა თქვას, ვინ ჩამომიტყუა საქართველოში, რა ვთქვაო?

მისი ნათქვამი ასე იკითხება: ჩემი საქართველოში ჩამოსვლა დაგეგმილი იყო და ვინც დაგეგმა, რუსები არ იყვნენ, დამგეგმავები რუსეთის აგენტები იყვნენო.

იმ კონდიციამდეა მისული, ან მართლა უნდა გაიტაცონ, ან ალაპარაკდება. ახლა უნდა მიჰას შველა, არ გააგორონ დორი-ჩარივით...

მიჰა დუმს, ჯერ სიმართლის თქმა არ უნდა, მხოლოდ ისროლა ანკესი, დაელოდება ჩამომტყუებლების რეაქცია-სვლებს, მაგრამ თუ იმედი გადაეწურა, მტრისას მიჰა იმედგადაწურული! თუ ამოასხა, კიდევ უარესი — მიჰა ამოსხმული! მესიჯი კი დააგზავნა ყველგან, თუ არ გამომიყვანთ, თქვენზე ხელის დამფარებლის დედაცო, მაგრამ „ვიდერჟკას აძლევს“ მაინც, „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“ — ეგებ ლოდინით რამე გამოდნესო.

ცოტა ხნით გაყუჩდება, შავ დღეში ჩავარდნილი შლეგ თავში ფიგურებს გადაალაგებს: ვანოზე შევიწმინდო ხელი, არ ივარგებს, უტყვი კი არის, მაგრამ ჩუმი შენძრეულია, უტყუარი ფაქტები ექნება, ისეთს მომწევს, სამუდამოს მომარტყავენო; მელიას შევახოცო — ვინ დამიჯერებს, ეგ „პოსლიკა“ პირიქით, დამძახოდა საქვეყნოდ, არ ჩამოხვიდეო; ბიძაჩემს ხომ არ დავადებ ხელს, მომტეხავს ძირშიო; უკრაინელებს დავადო — მერე სად პაპიჩემის პაპასთან წავიდეო; ბრიუსელისკენ ან ვაშინგტონისკენ გავიშვირო თითი, ჩემივე მოტეხილ თითს ყურში ჩამჩრიან თუ თვალში, ვეღარც გავიგებ მკვდარიო; აბა, რაი ვქნა, რაი, რა მაყრანტალებდა, მართლა გიჟი ხომ არ ვარ, უკრაინის დაზვერვისა და ვანოს დაძახილზე ჩამოვარაჟნებულიყავიო; ესე იგი, რა დავახეთქე ახლა მე იმ დედააფეთქებულ „შპიგელთან“, რომ აშშ-შიც და ევროპაშიც ჩანერგილი ჰყავთ რუსებს თავიანთი ხალხი, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე არიანო? ე, ბიჯო, რა ვქნა — გავისუსო და საქართველოში ვიყო, რა გაძლებს, ხომ მართლა გადავირევი, თანაც აქ როდემდე მაკოტრიალებენ, ერთხელაც იქნება, ციხეში გადამიყვანენ. მეტი რაღა ვქნა, სად შემიძლია ასე ყოფნა კიდევ ამდენი წელი და ვინ იცის, კიდევ რამდენი დამემატება, თუ მოისურვეს სამართალის გაძღომაო...

ფრიად საინტერესო მოცემულობაა: რუსეთის აგენტებმა (ცხადია, არარუსმა) შემოიტყუეს ტიპი სამშობლოში ციხეში ჩასაყუდებლად და ე.წ. დასავლეთი შფოთავს — რა კატეგორიის მსმენელზეა გათვლილი, ვისაც ყველგან და ყველაფერში მხოლოდ რუსეთზე უნდა ყველაფრის შეწმენდა? კი, რუსეთს უნდა დაბრალდეს მისი შემოტყუება! ისე, ლЯკას ეცოდინება, რუსეთი თუ ურევია საქმეში. მამენტ, რატომ მხოლოდ მას? გრიგოლ ვაშაძეს ან ნაყოფიას რატომ არ ეცოდინება? ან მხოლოდ ამათ რატომ, ცოტანი არიან ენმ-ში „რაშისტები“?

ჩანაწერში დედა-გიული რომ ამბობს, რას იტყვის რუსეთი მიშიკოს ჩამოსვლაზეო — ჯერ არაფერს ამბობს, ერთობა ისიც, მაგრამ რა ეშველება ყველა დანარჩენს?

ჩვენი გაბრიყვებული, განუბაჟებელი მიჰა ჩამოტყუებული, ჩვენი მრავალმაგი აგენტი, ახლა პარტიაც რომ აახიეს საკუთარი გარჯით გამოკვებილმა ტურებმა...

**P.S.** სასეირო ამბავია, პეტრე ცისკარიშვილი და რომეო საჯაია ერთმანეთს საჯაროდ წაეკიდნენ, ვინც მიშას ჩამოყვანა დაგეგმა და ჩააბარა, იმას შე...ცა ბიძინას ზებრამო; ვინც იცის, ვინ ქნა და არ ამბობს, იმასაცო და ატყდა გაწევ-გამოწევა.

ბიძინას ზებრა რაღა შუაშია, გურიელიძისა არ გამოდგებოდა მაგ საქმისთვის?

იქით კირკიტაძე იჯაგრება...

ისეთი ამბავი იყო ორკეცად ატეხილი (მიშას ჩამომტყუებლის ძიება და პარტიის თავმჯდომარის არჩევა), ენმ-ის ცენტრალური ოფისიდან, შესაძლოა, წითელი ბოლი ამოვიდეს...

**ზურაბ ოხერელი**

# CREDIT SUISSE-მა იცის ევროპარლამენტის რეზოლუციის რეალური „ფასი“



## BIDZINA IVANISHVILI FOR GEORGIA

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის საქმე, რომელიც შვიდ წელზე მეტია ჩართულია **Credit Suisse**-ისა და მისი შვილობილი კომპანიების წინააღმდეგ მიმდინარე სამართლებრივ დავებში, ფართოდ გაშუქდა მედიის მიერ, მათ შორის შვეიცარიაშიც, სადაც კლიენტებთან ურთიერთობების მსჯავრდებული მენეჯერის მიერ ჩადენილი იქნა თაღლითობა და არასწორი მენეჯმენტი განხორციელდა, - ამის შესახებ ვებგვერდზე **CS Victims** გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„ბ-ნი ივანიშვილი და მისი წარმომადგენლები რამდენიმე თვის განმავლობაში თავს არიდებდნენ საქმის შესახებ კომენტარის გაკეთებას იმ მიზეზით, რომ მოლაპარაკების ინიციატორი **Credit Suisse** იყო. თუმცა ახლა ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბ-ნი ივანიშვილი ამტკიცებს, რომ ბანკი ქმნიდა მოლაპარაკების ილუზიას და ბანკის ხელმძღვანელობა, სავარაუდოდ, განაგრძობდა პოლიტიკური ზეწოლის კამპანიას ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ.

ბ-ნი ივანიშვილის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც მოცემულია შემდეგი:

„მათ, ვინც თვალ-ყურს ადევნებდა მოცემულ შემთხვევას, ახსოვთ, რომ 2022 წლის თებერვალში უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემდეგ **Credit Suisse**-თან გახანგრძლივებული დავა მალევე გასცდა სამართლებრივ ფარგლებს და პოლიტიკური სახე მიიღო. რამდენიმე კვირაში ბ-ნ ივანიშვილს პრობლემები შეექმნა როგორც თანხებზე წვდომასთან, ასევე ხელოვნების ნიმუშების და თვითმფრინავის მიღებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკითხი მოგვარდა იურიდიული გზით, დიდი ძალისხმევის გამოყენებით, მთავარი პრობლემა, როგორიცაა თანხებზე წვდომა, კვლავაც ძალაში რჩება და ამას განვიხილავთ, როგორც არაფორმალურ სანქციებს. ეს თანხები არ არის დაკავშირებული შვეიცარიაში, ბერმუდსა და სინგაპურში მიმდინარე სამართლებრივ დავებთან, მაგრამ ეხება იმ თანხებს, რომლებიც გადაურჩა **Credit Suisse**-ის არასწორ მენეჯმენტს და თაღლითობას. ამ თანხების უმეტესი ნაწილი გადაირიცხა სხვა შვეიცარიულ ბანკში, მაგრამ დაახლოებით 5% ფორმალური მოთხოვნის საფუძველზე დარჩა ჩრედიტ შუისსე-ში მიმდინარე დავების ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნული აქტივები იმართებოდა და იმართება ფინანსური სტრუქტურის მეშვეობით, რომლებსაც რეკომენდაცია ბ-ნი ივანიშვილისთვის **Credit Suisse**-მა გაუწია. ერთი ტრასტი მდებარეობს სინგაპურში, ხოლო მეორე ტრასტი გერნსის კუნძულების იურისდიქციაში იმყოფება (ექვემდებარება ბრიტანეთს) და ეს უკანასკნელი მართავს დარჩენილ თანხებს **Credit Suisse**-ში. გასათვალისწინებელია ნიუანსი, რომ ბანკის თანხმობის გარეშე ტრასტის დახურვას დასჭირდება რთული იურიდიულ პროცედურა და მიუხედავად იმისა, რომ აქტივების უმეტესი ნაწილი გადაეცა სხვა ბანკს, ტრასტს მაინც მართავს **Credit Suisse**-ის მიერ დანიშნული რწმუნებულები და თანხის გადახდა ბენეფიციარების სურვილის შესაბამისად მიმდინარეობდა. თუმცა, უკრაინაში კონფლიქტის დაწყების დღიდან ბენეფიციარებს შეექმნათ სერიოზული დაბრკოლებები, მათ შორის გადახდების შეფერხება და თანხებზე წვდომის სრული დაბლოკვა. ბ-ნი ივანიშვილი ამტკიცებს, რომ ეს ქმედებები წარმოადგენს არაფორმალურ სანქციებს“.

მიუხედავად იმისა, რომ სინგაპურსა და ბერმუდში სასამართლოები გრძელდება, დავა ორივე იურისდიქციაში გახანგრძლივებული ხასიათისაა: სარჩელი ბერმუდის კუნძულებზე 2016 წელს იქნა წარდგენილი, ხოლო იურისდიქციის საბოლოო განსაზღვრა სინგაპურში 2020 წლის მარტში დადასტურდა. ამგვარად, წარდგენის საბოლოო ეტაპი, სადაც მხარეები განიხილავდნენ ახალ ფაქტებს, მტკიცებულებებსა და პრეტენზიებს, წარდგენილი იყო 2021 წლის ნოემბერში. შესაბამისად, ბ-ნ ივანიშვილს აცნობეს, რომ თანხებზე წვდომის საკითხი მიმდინარე დავების ფარგლებში სასამართლოს აღარ წარედგინება. მიუხედავად ამისა, სინგაპურის სასამართლო სხდომაზე 2022 წლის სექტემბერში ბ-ნი ივანიშვილი გამოცხადდა მოწმის სახით და განაცხადა, რომ **Credit Suisse** არა მხოლოდ აიძულებდა მას, წლების განმავლობაში წარედგინა მოთხოვნები სხვადასხვა იურისდიქციაში თანხების თაღლითობისა და არასწორი მენეჯმენტის შესახებ, არამედ **Credit Suisse**-მა არ შეიტანა გადასახადი ჟენევის სასამართლოს ბრძანების დარღვევის გამო, რომელიც ეხებოდა კლიენტებთან ურთიერთობების მენეჯერის სისხლის სამართლის 2018 წლის საქმეს. უფრო მეტიც, **Credit Suisse**-მა შეზღუდა წვდომა დარჩენილ თანხებზე, რომლებიც ბანკიდან იყო გამოტანილი და რომელიც რჩება **Credit Suisse**-ის მიერ დანიშნული რწმუნებულების მენეჯმენტის ქვეშ.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ **Credit Suisse**-ს დაუსვა კითხვა, თუ რატომ არ გადაეგზავნა კლიენტს არასადავო თანხები. ამ გასაუბრების შემდეგ **Credit Suisse**-მა წამოიწყო მოლაპარაკებები ბ-ნ ივანიშვილთან და ამ პროცესის განმავლობაში მათ უკან დაუბრუნეს შვეიცარიის სასამართლოს მიერ სამი წლის წინ დაკისრებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი. 2022 წლის დეკემბერში ბ-ნ ივანიშვილს გადაუხადეს დარიცხული პროცენტი ზემოთ აღნიშნული თანხის დაგვიანებით გადახდის გამო და ბანკმა ასევე გადაიხადა ის თანხა, რასაც **Credit Suisse**-ის სინგაპურის **trust** არ ედავებოდა. მას შემდეგ ბ-ნმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ეს გადახდები იყო **Credit Suisse**-ის მხრიდან ილუზიური მცდელობა, ემოქმედა კეთილსინდისიერად სასამართლოს წინაშე დადებითი იმიჯის შესაქმნელად და მიიჩნევს, რომ ყველა ილუზია დასრულდა.

2022 წლის 14 დეკემბერს ევროპარლამენტმა კენჭი უყარა რეზოლუციას, რომელიც რეკომენდაციას უწევდა ბ-ნი ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას, მაგრამ არ იქნა მიღებული ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოების მიერ. აქედან გამომდინარე, **Credit Suisse**-მა განახორციელა კლიენტისთვის ბოლო გადარიცხვები და ახლა აცხადებს, რომ მოვლენების ასეთმა განვითარებამ ხელი შეუშალა **Guernsey**-ის ტრასტთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. ამ მოთხოვნას აძლიერებს ის ფაქტი, რომ აქტივები გადარიცხული იყო **Credit Suisse**-დან და ბანკი და მის დანიშნული რწმუნებულები არ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი ბენეფიციარების ინსტრუქციების არშესრულებაში. შედეგად, ბ-ნი ივანიშვილი აღიქვამს ამ ხელისშემშლელ ქმედებას, როგორც „პოლიტიკურ ზეწოლას“, ისევე, როგორც ეს იყო მარტში, როდესაც **Credit Suisse**-მა განაცხადა, რომ თანხების გაცემის შეფერხება გამოწვეული იყო „აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკური სიტუაციით“.

ბ-ნი ივანიშვილი ამტკიცებს, რომ **Credit Suisse**-ს აქვს გამოცდილება, გამოიყენოს ევროპარლამენტის რეზოლუციების პროექტები **Guernsey Trust**-ისგან თანხების გაცემის შეფერხების გასამართლებლად. პირველი მათგანის შემდეგ, 2022 წლის 9 ივნისს, **Credit Suisse**-მა განაცხადა, რომ **Trust**-ს არ შეეძლო თანხის გაცემა; თუმცა ევროსაბჭოს ივლისის სხდომაზე რეზოლუცია არ იყო მიღებული და არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი იმისა, თუ რატომ ვერ მოხერხდებოდა ამის გაკეთება. აქედან გამომდინარე, გერნსის სასამართლოში შეტანილი იქნა განცხადება ტრასტის აქტივების დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ერთდღიანი მოსმენა არაერთხელ გადაიდო და მიუხედავად იმისა, რომ მოსმენა დაგეგმილია მარტისთვის, ბ-ნი ივანიშვილს მიაჩნია, რომ თარიღი კვლავ გადაიდება. აქედან გამომდინარე, მოლაპარაკებების დროს ბ-ნი ივანიშვილის წარმომადგენლებმა შესთავაზეს გერნსის ტრასტის მიერ გაყინული თანხის საკითხის მოგვარება მოკლე დროში სასამართლოს ჩარევის გარეშე, მაგრამ ეს შეთავაზება არ იქნა მიღებული.

სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ტრასტების მენეჯმენტის არათანმიმდევრულობა. როგორც მტკიცდება, ერთ-ერთი ტრასტი არ ახორციელებს დისტრიბუციას და აიძულებს ბენეფიციარებს, მოითხოვონ გადახდის მიღება სამართლებრივი გზით, ამავე დროს რწმუნებულები მიუთითებენ ევროპარლამენტის ივნისის რეზოლუციაზე, ხოლო მეორე ტრასტს შეუძლია თანხების გაცემა ბენეფიციარებისთვის საჭიროებისამებრ, შემდგომი დეკემბრის რეზოლუციის მიუხედავად და ეს აშკარად არ წარმოადგენდა პრობლემას **Credit Suisse**-ის მენეჯმენტისთვის. ეს ამტკიცებს, თუ რა არის ევროპარლამენტის რეზოლუციის რეალური „ფასი“ და „კრედიტ სუისმა“ იცის ეს „ფასი“. ბანკის მხრიდან მართებული იქნებოდა, პირველ შემთხვევაში ისევე მოქცეულიყო, როგორც მეორე შემთხვევაში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ სინგაპურის სასამართლოზე უარყოფითი შთაბეჭდილების თავიდან აცილების მიზნით შეიძლებოდა ორივე დადგენილების იგნორირება.

ბ-ნი ივანიშვილის მტკიცებით, ეს ადასტურებს, რომ **Credit Suisse**-ის პოლიტიკური ზეწოლის კამპანია გრძელდება და აქედან გამომდინარე, ბ-ნი ივანიშვილი და მისი მრჩევლები ახლა განიხილავენ კამპანიის წარმართვის შესაძლებლობას სიტუაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით და ასევე განიხილავენ მტკიცებულებების გამოქვეყნებას იმის შესახებ, თუ როგორ დააზარალა, მისი აზრით, ბანკის რეპუტაცია და თავად შვეიცარიის იმიჯი **Credit Suisse**-ის ხელმძღვანელობამ“, - აღნიშნულია სტატიაში.

**CS Victims Credit Suisse**-ის გარკვეული კლიენტების წარმომადგენლების მიერ შეიქმნა. ისინი 7 წლის განმავლობაში ბანკის პერსონალის მიერ ჩადენილი დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ღირებულების თაღლითობის მსხვერპლნი არიან. **Credit Suisse**-ის მინიმუმ ერთი თანამშრომელი ნასამართლევია თაღლითობისთვის და **FINMA**-მ გამოავლინა **Credit Suisse**-ის სისტემებისა და კონტროლის საშუალებების გაუმართაობა, რამაც პირდაპირ გამოიწვია ჩადენილი დანაშაული.



# როცა გგონია, რომ ნიკორწმინდის ტაძარი ნანახი გაქვს...

**„ერთ ზაფხულს, შოვში დასვენებისას, გალაკტიონმა დურგალი გაიცნო, რომელმაც შემდეგ მაგიდა გაუკეთა და მასზე წერდა ნაძვნარში. ცხადია, დურგალს ყოველდღე ხვდებოდა, რომელიც უგონოდ იყო შეყვარებული ნიკორწმინდის ტაძარზე, მისი ყველა ჩუქურთმა ზედმიწევნით იცოდა. გალაკტიონის ლექსი „ნიკორწმინდა“ ყველამ იცის, მაგრამ არ იციან, რომ ეს ლექსი ისე დაწერა გალაკტიონმა, ნიკორწმინდა არ უნახავს, ამინდების ჭირვეულობის გამო ვერ მოახერხა მისი ნახვა...“ (გალაკტიონის მეუღლის, ნინო (ნინა) კვირიკაძის შვილიშვილი მარინა ფირცხალავა).**



გალაკტიონმა ტაძრის უნახავად დაწერა ლექსი „ნიკორწმინდა“ და ისე აზიდა ცად, რომ მკითხველი ინტერესდება და ნიკორწმინდის ტაძრის ნახვის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებს. საქართველოში, ალბათ, იშვიათია ადამიანი, ვისაც აღნიშნული ლექსი არ სმენია, ტაძარი შედარებით ნაკლებ ვინმეს თუ უნახავს, მაგრამ უნახავს კი?



პირადად მე ნიკორწმინდაში, მეორედ იმის გამო წავედი, რათა ის მენახა, რასაც ახლა თქვენ გიამბობთ. თუ შესაძლებლობა მექნა, მესამედაც წავალ, რადგან დასაზუსტებელი დამრჩა ჩემთვის საინტერესო საკითხები.

მცირე ინფორმაცია: ნიკორწმინდის ტაძარი ეროვნული ხუროთმოძღვრების შედევრია, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში, 1010-1014 წლებშია აგებული. ნიკორწმინდის დეკორი ქართული მონუმენტური პლასტიკის მიღწევაა. ძეგლს არსებობის განმავლობაში დიდი ცვლილება არ განუცდია, რაც იშვიათი შემთხვევაა. ტაძრის გუმბათი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. XVI საუკუნეში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ხელშეწყობით ნიკორწმინდა განაახლეს. აქედან მოყოლებული, ნიკორწმინდა რაჭის საეპისკოპოსო ტაძრად მოიხსენიება.

რელიეფებს შორის, ქრისტიანული სიუჟეტების გვერდით, ბევრია რეალური და ფანტასტიკური მოტივიც.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან ნიკორწმინდის ტაძარი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკიდრეობის საცდელ ნუსხაში.

2012 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას, ჭვარტლით დაფარულ კარიბჭეებში აღმოჩნდა XVI საუკუნის მანამდე უცნობი ფრესკები: ტაძრის ქტიტორთა, ადგილობრივ ფეოდალთა და მთავარანგელოზ მიქაელის გამოსახულებები. ერთ-ერთი ფრესკული წარწერა იხსენიებს ტაძრის მომხატველს, ვინმე ჯავახაძეს. ქტიტორთა გამოსახულებებთან მოხსენიებულია ორი გვარი, ჯავახაძეები და წულუკიძეები.

როცა გგონია, რომ ნიკორწმინდის ტაძარი ნანახი გაქვს და აღმოაჩენ, რომ სრულად არ გინახავს, შეუძლებელია, ხელმეორედ არ მოინდომო მისი ნახვა, რათა საფუძვლიანად დაათვალიერო.





2002 წლის მარტში მკითხველმა რედაქციას მიაწოდა ნიკორწმინდის ღვთისმშობლის მიძინების ხატის ფოტოასლი. მისი მტკიცებით, აღნიშნულ ხატზე გამოსახულნი არიან: კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ედუარდ შევარდნაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სტალინი, ლავრენტი ბერია, სერგო ორჯონიკიძე და სხვები.

დააკვირდით ფოტოასლს, მართლა ჰგვანან ხატზე გამოსახული პერსონაჟები ჩვენს თანამედროვეებსა და ისტორიულ პირებს?

ნიკორწმინდის ტაძრის კედლები ინახავს ჯოჯოხეთის ფრესკას, მამათმავლობის სცენებს და ეშმაკიც არაერთგანაა გამოსახული, რაც მნახველს აოცებს.

ჯოჯოხეთის სცენა ასეთია: გამოსახულია დიდი გველეშაპი, რომლის გაღებული პირიდან ჯოჯოხეთში ეშვებიან ცოდვილი ადამიანები, სადაც შემდგომ ტანჯვაში არიან. ყოველ მათგანს სხვადასხვა სატანჯველი აქვს.

ერთი გამორჩეული სცენაა, ეშმაკი აუპატიურებს კისერზე კოკაჩამოკიდებულ, ხელებშეკრულ მამაკაცს — ეშმაკის შეპყრობილ მწყურვალს წყალი კი აქვს, მაგრამ ვერ სვამს, რადგან ხელები შეკრული აქვს (სასულიერო პირების თქმით, ჯოჯოხეთში ყოფილა ასეთი სატანჯველიც — წყურვილით ტანჯვა).



ასევე, გამოსახულია ერთ ლოგინში გვერდიგვერდ მწოლიარე ორი მამაკაცი, რომელთაც გახარებული სახით გამოსახული ეშმაკი ადგათ თავზე — ისინი სოდომის ცოდვით შეპყრობილები არიან...

რატომ გამოსახეს ჯოჯოხეთის ასეთი სცენები მაინცდამაინც რაჭაში, მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას: ალბათ, კონკრეტული ფეოდალური ოჯახის მითითება იყო ტაძრის მომხატველისადმი, რათა ამ ფორმით ეთქვათ ხალხისთვის, რა მოაქვს ცოდვებს და რა არის ჯოჯოხეთი.

როგორც ჩანს, სასულიერო პირებს არცკი სმენიათ მსგავსი ფრესკის შესახებ, ამიტომ ახსნა უჭირთ. ვინაიდან „სახარება“ სიტყვით სწავლებაა, ხოლო ფრესკა — გამოსახულებითა და ფერით, ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ფრესკა არასწორად არის აღქმული...

ნიკორწმინდის ტაძარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელზეც უამრავი ეპიგრაფიკული მასალაა შემორჩენილი.

ნიკორწმინდის ტაძარშია გამოსახული საყურიანი მამაკაციც, რომელიც, სავარაუდოდ, რომელიმე წულუკიძე უნდა იყოს. რადგან ფრესკა გვიანდელია, მე-17 საუკუნეშია შესრულებული და ამ პერიოდის საქტიტორო პორტრეტებში წულუკიძეების გვარია წინ წამოწეული, ისინი მიიჩნევიან მოხატულობის შემკვეთად. მათ შორის გამოირჩეოდა მერაბ წულუკიძე. XVI-XVII საუკუნეებში წულუკიძეების გვარი ფლობდა ამ მიწებს და ისინი არიან გამოსახული.

წალენჯიხის მაცხოვრის სახელობის ტაძრის ფრესკაზე გამოსახულ სამეგრელოს მთავარს, ლევან II დადიანს და მის ბიძას, გიორგი ლიპარტიან-დადიანს საყურეები უკეთიათ. ლევანი გრძელ თმას ატარებდა, ამიტომ საყურე მკაფიოდ არ უჩანს, გიორგის საყურე კი გარკვევით ჩანს, რგოლზე დამაგრებულ ფოთოლზე ლალის თვალია ჩამოკიდებული და მარგალიტით ბოლოვდება.

საყურით არიან გამოსახული საფარაში, წმინდა საბას მონასტერში ბექა და სარგის ჯაყელები...

ფრესკებზე თითქმის არ არიან გამოსახული დაბალი ფენის წარმომადგენლები. ამდენად, ძნელი სათქმელია, მათაც ეკეთათ თუ არა საყურე, რადგან ის ძალაუფლების ნიშანსაც წარმოადგენდა, პირის სტატუსს, რომ ის გარკვეულ სოციალურ საფეხურზე იდგა.

დღეისათვის, საყურე მამაკაცისთვის მოდის გამოძახილია, ან უბრალოდ კონკრეტულად მას მოსწონს, მაგრამ საყურე მამაკაცზე არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთისთვის არ ყოფილა უცხო; არც შუა საუკუნეების საკუთრებაა, უძველესი დროიდან მოდის. საყურიანი მამაკაცები მრავლად იყვნენ ასურულ-ბაბილონურ და ეგვიპტურ სინამდვილეში.

ქართული წარმოდგენებისთვის ერთგვარად უცხოა საყურიანი ქართველი მამაკაცი, მაგრამ, როგორც ნიკორწმინდის ტაძრის მაგალითზე ვხედავთ, ბევრი რამ თურმე არ გვცოდნია...

**მაკა ჯაყელი**

# მკვლელი მუსიკა



***„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბარს აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან:***

### როკ-მუსიკა ცხოველურ ინსტინქტებს აძლიერებს

გასული საუკუნის 50-იან წლებში, როცა როკ-მუსიკა გავრცელდა, როგორც პროტესტის ფორმა, მომრავლდა თვითმკვლელობები და ფსიქიკური ეპიდემიები. როკ-ეპიდემიის დასაწყისი ნარკოეპიდემიის და ე.წ. სექსუალური რევოლუციის დასაწყისი გახდა. 80-იან წლებში გამოჩნდა პანკ-როკი, რომლის მიზანია თვითმკვლელობები, კოლექტიური ძალადობა, სისტემატური დანაშაული. ამერიკული პრესა წერდა, თუ როგორ მოკლა 14 წლის გოგომ დედა კალიფორნიაში, რომელმაც დანაშაული „მძიმე როკის“ მუსიკის მოსმენით გამოწვეული ძლიერი ნერვული აღგზ-



ნების მომენტში ჩაიდინა. რუსმა მეცნიერებმა დააფიქსირეს: მძიმე როკის 10-წუთიანი მოსმენით მეშვიდე კლასელებს გარკვეული დროით დაავიწყდათ გამრავლების ტაბულა, ხოლო იაპონელი ჟურნალისტების გამოკითხვით, ტოკიოს უმსხვილეს როკ-დარბაზებში მაყურებლებს დაუსვეს სამი მარტივი კითხვა: რა ერქვათ, სად იმყოფებოდნენ და რომელი წელი იყო. ვერცერთმა გამოკითხულმა ვერ უპასუხა ამ კითხვებს. გერმანელი მეცნიერის ბ. რაუხის განცხადებით, ასეთი მუსიკა იწვევს ე.წ. სტრეს-ჰორმონების გამოყოფას, რომლებიც შლის ტვინში აღბეჭდილი ინფორმაციის ნაწილს. ადამიანი გონებრივად დეგრადირდება. შვეიცარიელმა ექიმებმა დაამტკიცეს, რომ როკ-კონცერტის შემდეგ ადამიანი გამღიზიანებელზე, ჩვეულებრივთან შედარებით, 3-5-ჯერ სუსტად და იშვიათად რეაგირებს. სწავლობდნენ რა უჯრედებზე ზოგიერთი ბგერის ნეგატიური ზემოქმედების უნარს, რუსმა მეცნიერებმა აჩვენეს, რომ აგრესიული მუსიკის ზემოქმედებით ავთვისებიანი სიმსივნე იწყებს სწრაფად ზრდას მაშინ, როცა კლასიკა, პირიქით, თრგუნავს კიბოვან უჯრედებს.

მავნე მუსიკა გამოირჩევა ხშირი დისონანსით, უფორმობით, არარეგულარული რიტმით, რომელიც ადამიანში ცხოველურ ინსტიქტებს აძლიერებს. ასეთ მუსიკას მიეკუთვნება პოპ და როკ-მუსიკა, რომლებიც ზემოქმედებს ულტრა და ინფრაბგერებით. ეს ბგერები ჩვენ არ გვესმის, მაგრამ მათ აღიქვამს ჩვენი ორგანოები, რამაც შეიძლება დამანგრეველად იმოქმედოს ტვინზე „25-ე კადრის“ პრინციპით და გამოიწვიოს ნერვული სისტემის აღგზნება და აზროვნების პროცესის პარალიჩი. მსგავს მუსიკას სპეციალისტები უწოდებენ „მკვლელ მუსიკას“, „ბგერით შხამს“. ამერიკელი ექიმების მონაცემებით: „დაბალი სიხშირის რხევები, რომელიც გამოწვეულია ბასგიტარის გაძლიერებით, რასაც ემატება რიტმის განმეორებადი ზეგავლენა, მნიშვნელოვნად მოქმედებს ზურგის ტვინის სითხის მდგომარეობაზე. ეს კი თავის მხრივ უშუალო გავლენას ახდენს ჯირკვლებზე, რომლებიც არეგულირებს ჰორმონების სეკრეციას, არსებითად იცვლება ინსულინის დონე სისხლში. შესაბამისად, ირღვევა სასქესო და კუჭქვეშა ჰორმონების წონასწორობა“. მთავარი დარტყმა მიმართულია ტვინის იმ უბნებზე, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის სასქესო ფუნქციებთან. აღმოჩნდა, რომ სექსუალური აღგზნების დონეს ყველაზე მაღლა კლასიკური მუსიკა წევს.

### შუქის ეფექტები ჰალუცინაციებს იწვევს?!

ასევე, მავნებელია როკ-მუსიკის მონოტონური გამეორება და ბგერის სიმაღლე. ჩვენს ყურს, ჩვეულებრივ, შეუძლია აღიქვას 55-60 დეციბელის ბგერა. 70 დეციბელზე მაღალი ხმა იწვევს ბგერით სტრესს. როკ-კონცერტების დროს მოედნებზე მძლავრი დინამიკების გამოყენებით ხმის სიმაღლე აღწევს 120, ზოგჯერ 160 დეციბელს. ასეთი ბგერითი სტრესის გამო თირკმელზედა ჯირკვლებიდან გამოიყოფა სტრესული ჰორმონი — ადრენალინი. მისი ხშირი გამოყოფა ტვინში აღბეჭდილი ინფორმაციის ნაწილს შლის, რაც ადამიანის გონებრივ დეგრადაციას იწვევს. ადრენალინის ჭარბად გამომუშავებისას ხდება მისი ნაწილობრივი დაშლა ადრენოქრომად, ახალ ქიმიურ ნივთიერებად, რომელიც ფსიქიკაზე თავის მოქმედებით ნარკოტიკის მსგავსია. ყოველივე ამას ემატება შუქის ეფექტები — მუსიკის რიტმის მიხედვით შუქის მკვეთრი ცვალებადობა, რაც იწვევს ჰალუცინაციის მსგავს მოვლენებს. ადამიანის თავის ტვინზე როკ-მუსიკის ამგვარმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესიულობა, მრისხანება, დეპრესია, შიშები, თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება, სოციალური გაუცხოება. აგრესიას ასევე იწვევს რეპი, რომლის მონოტონურობა შეიძლება გაღიზიანების, განწყობილების და საერთო ემოციური ტონუსის დაქვეითების მიზეზი გახდეს. ამერიკელ სოციოლოგთა კვლევის შედეგებით, არასრულწლოვანი (12-დან 17 წლამდე) დამნაშავეები უპირატესობას რეპს ანიჭებენ.

იაპონიაში ჩაატარეს ექსპერიმენტი: 120 მეძუძური დედა ორ ჯგუფად გაყვეს. დედების ერთი ჯგუფი კლასიკას უსმენდა, მეორე პოპ-მუსიკას. პირველ ჯგუფში რძის რაოდენობა ქალებში 20%-ით გაიზარდა, მეორეში — 2-ჯერ შემცირდა.



### ბგერითი ნარკოტიკი — მითი თუ რეალობა?

შეგრძნებები რომლებიც წარმოიშვება თანამედროვე როკ- და პოპ-მუსიკის მრავალი ნაწარმოების მოსმენით, ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის ანალოგიურია. ხდება ტოტალური გამოთაყვანება, ზომბირება. ბგერითი ნარკოტიკი მითი არ არის, იგი ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი და საშიში რეალობაა.

როკ-ენ-როლი აფრიკის ჯუნგლებიდან შემოვიდა. 1619 წელს მონებით მოვაჭრეებმა ამერიკაში მონებთან ერთად ჩაიტანეს მუსიკაც, რომლის მაგიური ძალა დოლების ჰიპნოზურ რიტმში მდგომარეობს. ეს მუსიკა სატანურ რიტუალებზე სრულდებოდა. მალე როკი უხეშ და „მძიმე როკად“ გარდაიქმნა და ბოლოს ოკულტიზმის გავლენით სატანის კულტამდე მივიდა, რასაც სათავე „ბითლზებმა“ დაუდეს.

**თამარ შველიძე**

## ლიტერატურული კონკურსი „ფრთხილად, წინ მკითხველია!“




**თამაზ წივწივაძის ფონდი და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“** აცხადებენ თამაზ წივწივაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს **„ფრთხილად, წინ მკითხველია!“**

კონკურსი ცხადდება შემდეგ ნომინაციებში:

საუკეთესო კრიტიკული წერილი (10 გვ.)

წლის საუკეთესო პუბლიცისტური წერილი (10 გვ.)

წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები (3-5 გვ.)

წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (8-10 გვ.)

წლის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოები (პროზა, პოეზია — 3-5 გვ.).

საკონკურსოდ მიიღება 2022 წელს ჟურნალ-გაზეთებსა და ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მასალები უნდა წარმოადგინონ 4 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

მისამართზე: თბილისი, ზანდუკელის ქ. №1. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია, ბელა გველესიანს.

ელექტრონული ვერსიებისთვის:
**tsivtsivadzis.fondi@yahoo.com**

კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2023 წლის 21 მარტს, ჟურნალისტიკის დღეს.

ნომინაციების მიხედვით პირველ ადგილზე გასული ნაწარმოებების ავტორებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო, დიპლომები და სამახსოვრო პრიზები.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი**
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).

მის:. თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99